

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი



სამაგისტრო ნაშრომი:

პრეიუდიცია სისხლის სამართლის პროცესში

მაგისტრანტი: ნათია ბუხრაშვილი

თემის ხელმძღვანელი: ნინო გოგინიაშვილი, ას. პროფესორი, სამართლის
დოქტორი

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიულ ფაკულტეტზე

თბილისი

სარჩევი

გამოყენებული აბრევიატურა.....	3
შესავალი.....	4
თავი I	7
პრეიუდიციის ცნება და არსი.....	7
თავი II	12
პრეიუდიცია, როგორც მტკიცებულება.....	12
თავი III	15
პრეიუდიციის სახეები.....	15
თავი IV	20
პრეიუდიციის შედარებითსამართლებრივი დახასიათება.....	20
4.1 პრეიუდიციის საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში.....	20
4.2 პრეიუდიცია კონტინენტური სამართლის ქვეყნებში.....	24
4.3 პრეიუდიცია ანგლო-საქსური სამართლის ქვეყნებში	27
თავი V	31
შეჯიბრებითობის პრინციპი მტკიცებულების პრეიუდიციად აღიარების დროს.....	31
5.1 მხარეთა როლი მტკიცებულების პრეიუდიციად აღიარების პროცესში	31
5.2 პრეიუდიციის უარყოფა და პრეიუდიციული ფაქტის გამოყენებაზე უარის თქმა	36
თავი VI	39
პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვა	39
6.1 პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოს კანონმდებლობაში;.....	39
6.2 ადამიანის უფლებათა სასამართლოს შეზღუდვა პრეიუდიციის გამოყენებაზე.....	41
თავი VII	44
პრეიუდიციის გამოყენება პრაქტიკაში.....	44
8. დასკვნა.....	46
ბიბლიოგრაფია	47

გამოყენებული აბრევიატურა

1. ა.შ. – ასეშემდეგ
2. აშშ - ამერიკისშეერთებულიშტატები
3. ავტ. – ავტორი
4. გვ. – გვერდი
5. გამომც. – გამომცემლობა
6. ე.ი. – ესეიგი
7. ე.წ. – ეგრეთწოდებული
8. თბ. –თბილისი
9. იხ. – იხილეთ
10. ინსტ- ინსტიტუტი
11. მაგ. – მაგალითად
12. მუხ. – მუხლი
13. ნაწ. – ნაწილი
14. ჟურნ. - ჟურნალი
15. რედ. – რედაქტორი
16. სხვ. – სხვა
17. სსკ. – სისხლისსამართლისკოდექსი
- 18.სსსკ - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

შესავალი

თანამედროვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა მრავალი ცვლილება განიცადა დღემდე. ამ ცვლილებების მიზანი, პირველ რიგში, არის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი სისხლის სამართლის სამართალწარმოების დამკვიდრება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შეტიბრებითობის პრინციპზეა დამყარებული. შეტიბრებითობა მხარეებს შორის გარანტირებული უნდა იყოს როგორც სასამართლოში საქმის განხილვის პროცესში, ისე გამოძიების დროს. ეს ნიშნავს, რომ თანამედროვე კანონმდებლობა მხარეებს აძლევს თანაბარ შესაძლებლობებს. აღნიშული პრინციპი თანაბარ მდგომარეობაში და პირობებში აყენებს მხარეებს მათ მიერ მტკიცებულებათა მოპოვების, მოსამართლის წინაშე მათი წარმოდგენის, გამოკვლევისა და ანალიზის მხრივ.

მტკიცებულების ერთ-ერთ სახეს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, წარმოადგენს პრეიუდიცია. მისი დეფინიცია ერთი მუხლის ფარგლებშია მოცემული, თუმცა შინაარსობრივად და პრაქტიკულად ძალიან ფართოდ არის შესაძლებელი ამ განმარტების გაგება. პრეიუდიცია, მარტივად რომ ვთქვათ, არის შემთხვევა, როდესაც მტკიცების პროცესში გამოიყენება მტკიცებულების ეკვივალენტური ინფორმაციის წყარო და სასამართლო მას იღებს მტკიცებულებად.¹ ეს რეგულირება გვხვდებოდა 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც, მაგრამ დღევანდელი ვერსია შეიცავს გარკვეულ მატერიალურ და პროცედურული ხასიათის ცვლილებებს.

თანამედროვე საქართველოს რეალობაში მრავალჯერ ყოფილა შემთხვევა, როდესაც პრეიუდიციის გამოყენების თვალსაზრისით პრობლემა იქმნება. ეს უკავშირდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრინციპებთან მის შეუსაბამობას. პრეიუდიციის ყოველ გამოყენებას უნდა ახლდეს თან გონივრული წინაპირობები, რაც საერთაშორისო კანონმდებლობის უპირობო მოთხოვნაა. ამდენად, მტკიცებულების

¹ „პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.“-გიორგი ბურჯანაძე. სტატიათა კრებული-ადამიანის უფლებების დაცვა, მიღწევები და გამოწვევები. (რედ. კონსტანტინე კორკელია-სტატიათა კრებული) 2012წ. გვ.47.

პრეიუდიციად აღიარება უნდა მოხდეს მისი სრული ანალიზის და შესწავლის შემდგომ. ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა უზღუდავს მოსამართლეებს პრეიუდიციის საკითხის გადანაცვეტისას ინფორმაციის შინაარსში შესვლას და სიღრმისეულად გამოკვლევას, რაც ორაზროვნებას ჰბადებს. როგორც უნდა მოხდეს გამოკვლევული მტკიცებულებების შეპირისპირება და თანაფარდობაში მოყვანა იმგვარ მტკიცებულებებთან, რომელიც პროცესის განმავლობაში არ იქნება გამოკვლევული. ამიტომაც არის საჭირო, რომ პრეიუდიციის გამოყენებისას გათვალისწინებული იქნეს საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები და რეკომენდაციები. დაცული იქნეს გონივრული ბალანსი. აშკარაა ამ მხრივ საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობაც.

თემის აქტუალურობა . წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება მტკიცებულების სახეს - პრეიუდიციას. ბოლო წლების განმავლობაში, პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებში მრავლად გვხვდება მტკიცებულებათა პრეიუდიციად აღიარების შემთხვევები, რომლებიც მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ხდება და მოსამართლე ამ პროცესში შეზღუდული უფლებამოსილებით სარგებლობს. ეს, გარკვეულწილად, გამოწვეულია ქვეყნის პოლიტიკური არასტაბილურობით. უფრო და უფრო გაიზარდა ბოლო პერიოდის პრაქტიკაში მტკიცებულებათა გამოკვლევის გარეშე მიღება, რაც თემის აქტუალურობას თავისთავად ზრდის. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მივიღეთ არაერთი რეკომენდაცია, რაც ხაზს უსვამს ამ საკითხის გააქტიურებას და პრობლემის არსებობას. მოხდა საკანონმდებლო ცვლილებები, თუმცა სრულად მაინც ვერ მოხერხდა პრეიუდიციის როგორც თეორიული თვალსაზრისით, ასევე პრაქტიკული გამოყენების მხრივ მისი სრულფასოვნად დახვეწა. არსებობს გარკვეული ბუნდოვნებები, რომელიც საჭიროებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან მის შესაბამისობაში მოყვანას და ყველა რეკომენდაციის გათვალისწინებას.

კვლევის მიზანი. ნაშრომის მიზანია პრეიუდიციის, როგორც მტკიცებულების ერთ-ერთი სახის შინაარსის სიღრმისეულად შესწავლა. მისი გამოყენების წინაპირობების განმარტება. ასევე მისი მიზანია პრეიუდიციის შედარებით-სამართლებრივი დახასიათება, ქართული კანონმდებლობის მიმართება საერთაშორისო სამართლის ქვეყნებთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან. ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას, რომ დასაბუთდეს ქართულ კანონმდებლობაში იმ ცვლილებების გატარების აუცილებლობა, რომელიც ნამდვილად ერთ სისტემაში მოაქცევდა პრეიუდიციასთან დაკავშირებულ თეორიას და პრაქტიკას. ასევე მისი ამოცანაა წარმოაჩინოს ის პრობლემა, რომელიც თან ახლავს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მტკიცებულების პრეიუდიციად აღიარების პროცესში მხოლოდ მხარეთა ნების საფუძველზე მის გადანაცვეტას.

კვლევისმეთოდები. ნაშრომში გამოყენებული იქნება შედარებით-სამართლებრივი, სისტემური და ლოგიკური კვლევისმეთოდები. საინტერესო იქნება ანგარიშები და კვლევები, ასევე რეკომენდაციები, რომელთაც საერთაშორისო სასამართლოები და არასამთავრობო ორგანიზაციები აძლევს ჩვენს ქვეყანას.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლის, შვიდი თავისა და დასკვნისგან. თავები დაყოფილია ქვეთავებად. პირველი თავი დაეთმობა პრეიუდიციის შინაარსობრივი მხარის გაგებას, რაც გარკვეულ წარმოდგენას შექმნის მის მნიშვნელობაზე სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. მეორე თავში უკვე მის, როგორც მტკიცებულების არსობრივ გაგებას ვახდენ, რაც მტკიცებულების სხვა სახეებთან მის შედარებასაც გულისხმობს. მესამე თავი პრეიუდიციის სახეების აღწერას გთავაზობთ, მასში წარმოდგენილია სსსკ-ის 73-ე მუხლში ჩამოყალიბებული პრეიუდიციის ყველა სახის აღწერა და თავისებურებანი. შემდეგი თავი შედარებით - სამართლებრივ დახასიათებას ეძღვნება, ხოლო უფრო მეტ კონკრეტიკას ვახდენ მის ქვეთავებში, სადაც ცალ-ცალკე მიმოვიხილავ თავდაპირველად ქართულ კანონმდებლობას ამ კუთხით, ხოლო შემდგომ მის გაგებას ანგლო-საქსური და კონტინენტური სამართლის ქვეყნების მაგალითზე. მეხუთე თავში პრეიუდიციის გამოყენებაზე შეჯიბრებითობის პრინციპის გავლენას აღწერ. ასევე მიმოვიხილავ მხარეთა როლს მტკიცებულების პრეიუდიციად აღიარების პროცესში და მისი უარყოფის შესაძლებლობას. მეექვსე თავი პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვას შეეხება. ხოლო მისი ქვეთავები უფრო აკონკრეტებს თემას - ქართული კანონმდებლობის და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მხრიდან დაწესებულ შეზღუდვებს განიხილავს ამ კუთხით. ბოლო , მეშვიდე თავი პრაქტიკაში პრეიუდიციის გამოყენებას ეძღვნება და აღწერს ყველა იმ პრობლემას, რომელიც რეალურ სამართლებრივ საქმეებში შეიძლება არსებობდეს.

თავი I

პრეიუდიციის ცნება და არსი

პრეიუდიცია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, წარმოადგენს მტკიცებულების ერთ-ერთ სახეს. ტერმინი პრეიუდიცია წარმოსდგება ლათინური სიტყვისაგან – *prejudicialis*, რაც წინა სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულს ნიშნავს. *Pre-* ნიშნავს წინას, ხოლო ტერმინი „*judicialis*,” უკავშირდება ლათინურ ტერმინს „*judicia*,” რაც სასამართლოს გადაწყვეტილებას ნიშნავს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პრეიუდიციის აღსანიშნავად ინგლისურ ენაში გამოიყენება ტერმინი „*collateral estoppel*,” რაც ქართულად პრეიუდიციას, სხვა საქმესთან დაკავშირებით დადგენილ გარემოებებს ნიშნავს.² პრეიუდიცია სამართლებრივი ტერმინია, რომელიც სამოქალაქო სამართალში, ადმინისტრაციულ თუ სისხლის სამართალში გარკვეული განსხვავებით გვხვდება.³ ამ საკითხთან დაკავშირებით, მეცნიერთა მოსაზრებები ცალსახაა და იგი მათ შორის დისკუსიის საგნად არასოდეს გამხდარა. მაგალითად, ა.მ ბებრუკოვა ასე განმარტავს პრეიუდიციის ცნებას – პრეიუდიცია გამოიხატება საქმეში მონაწილე მხარეებისა და მათი უფლებამონაცვლეების მიერ იმ ფაქტებისა და სამართალურიერთობათა გასაჩივრების დაუშვებლობაში, რომელიც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.⁴ იგივე აზრია გამოთქმული ამერიკის შეერთებული შტატების სააპელაციო სასამართლოს მიერ გაკეთებულ კომენტარში „ბროკმენი უიომინგის წინააღმდეგ“ საქმეში. მასში აღნიშნულია, რომ დოქტრინა პრეიუდიციის თაობაზე გამორიცხავს სასამართლოს მიერ განხილული საკითხების ხელახლა განხილვას. აქ არ იგულისხმება სარჩელების ხელახალი განხილვა. სარჩელების ხელახალი განხილვა აკრძალულია დოქტრინით, რომელსაც ეწოდება *Res Judicata* (უკვე გადაწყვეტილი საქმე).

პრეიუდიციის შინაარსის დეფინიციისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის თავსართი პირდაპირ ადგენს, რომ კონკრეტული გარემოებები გამოკვლევის

² დ.წულაია., ინგლისურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი., 2005 ., გვ 350.

³ https://it.wikipedia.org/wiki/Salvis_iuribus -salvis iuribus-განმარტება.

⁴ А. М. Безруков, Преюдициальная связь судебных актов, Москва, 2007, გვ. 39.

გარეშე მტკიცებულებად მიიღება. ანუ პრეიუდიცია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არის მტკიცებულება იმ განსხვავებით, რომ არ არის აუცილებელი მისი გამოკვლევა. საკითხის უკეთ აღსაქმელად აუცილებელია ტერმინ „გამოკვლევის“ დეფინიცია და განმარტება, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად.⁵ აღნიშნული ცხადყოფს, რომ პრეიუდიციული ძალა ცალსახად დაკავშირებულია სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებთან და არა საყოველთაოდ ცნობილ გარემოებებთან. ორივე აქ მოტანილი გარემოებანი არ საჭიროებენ მტკიცებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა ფაქტი, რომელიც არ საჭიროებს მტკიცებას პრეიუდიციული ძალის ფაქტებია.⁶

პრეიუდიცია ჩვეულებითი სამართლებრივი ინსტიტუტია, ეს არის შემთხვევა, როდესაც მტკიცების პროცესში გამოიყენება მტკიცებულების ეკვივალენტური ინფორმაციის წყარო და სასამართლო მას იღებს მტკიცებულებად⁷.

პრეიუდიციის უკეთ წარმოსაჩენად და გასარკვევად აუცილებელია მისი საზრისის, მიზნის წარმოჩენა. ადამიანის უფლებათა სამართლის ექსპანსიის პარალელურად აუცილებელი ხდება პროცესის ხარჯებისა და რესურსების დაზოგვა. ამ მიმართებით პრეიუდიციას შეუძლია დადებითი როლის შესრულება და შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში მოქმედ მოსამართლეს ეძლევა დამატებითი ინტერვენციის შესაძლებლობა. ასევე, ამ ინსტიტუტის ფართოდ გამოყენებით შესაძლებელი ხდება სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნების უზრუნველყოფა (ფაქტობრივი და არა იურიდიულითვალსაზრისით).⁸ ერთი შეხედვით, პრეიუდიცია არ არის ცენტრალური და ყოველდღიურად აქტუალური ინსტიტუტი, რომლის პრობლემურობა თვალშისაცემია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პრეიუდიციას შეუძლია, საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინოს მტკიცების პროცესში და, შესაბამისად, მისი როლის დაკნინება და სათანადო გამოუკვლევლობა დაუშვებელია. მტკიცებულების გამოკვლევის გარეშე მიღების პროცესში, სასამართლოზე მხარეებს მაინც რჩებათ შესაძლებლობა სადავო გახადონ ესა თუ ის ფაქტი და მიუხედავად მრავალგვარი მოსაზრებისა ეს შესაძლებლობა მათ უტოვებთ შეჯიბრებითობის შანსს პროცესის

⁵ „პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.“- გიორგი ბურჯანაძე. სტატიატა კრებული-ადამიანის უფლებების დაცვა, მიღწევები და გამოწვევები. (რედ. კონსტანტინე კორკელია-სტატიატა კრებული) 2012წ.

⁶ მ. სულხანიშვილი., პრეიუდიცია და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულირებანი., ჟ. მართლმსაჯულება და კანონი, #2'14.გვ. 35. 2013წ.

⁷ . „პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.“- გიორგი ბურჯანაძე. სტატიატა კრებული-ადამიანის უფლებების დაცვა, მიღწევები და გამოწვევები. (რედ. კონსტანტინე კორკელია-სტატიატა კრებული გიორგი) 2012წ.

⁸ მაქუაკერი გოდარდის წინააღმდეგ (McQuaker v.Goddard), გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატის გადაწყვეტილება, [1940], 1 KB, 687.

მსვლელობისას. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ პრეიუდიციის არსებობა სწორედ სისხლის სამართლის პროცესში შეჭიბრობითობის როლს აკნინებს, რაც ცალსახად არ არის სწორი ან მცდარი მოსაზრება. პრეიუდია, როგორც მტკიცებულება, აპრიორი არ არის მიღებული პროცესზე. მას კვლავ სჭირდება განხილვა და მხარეების ჩართულობა მისი დასაშვებობისთვის. არსებობს პრეიუდიციული ფაქტის უარყოფის და პრეიუდიციული ფაქტის გამოყენებაზე უარის თქმის შესაძლებლობაც. ერთ შემთხვევაში სასამართლოს არ შეუძლია მხოლოდ თავისი ინიციატივით უარყოს ფაქტი, აუცილებლად საჭიროა მხარის შუამდგომლობა. ამის გარეშე სასამართლო ვერ უარყოფს ვერცერთ პრეიუდიციულად დადგენილ ფაქტს, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა ეს. მეორე შემთხვევაში კი თუ სასამართლო საეჭვოდ მიიჩნევს სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, აღნიშნული გარემოების გამოყენება პრეიუდიციალ გამოკვლევის გარეშე არ მოხდება. აღნიშნული გარემოებები თითქოს გარანტია იმისა, რომ სასამართლოც და მხარეებიც გარკვეულწილად ჩართულები იყვნენ პრეიუდიციის არსის, მისი გამოყენების და დასაშვებობის გამოკვლევის სისწორეში, რაც ასე აუცილებელია.

პრეიუდია, როგორც სსსკ-ის 73-ე მუხლში არის ჩამოყალიბებული, შინაარსობრივად და ტერმინის მნიშვნელობის მიხედვით სხვაგვარად შეიძლება განვმარტოთ. პრეიუდიციას, როგორც ტერმინს თუ გავეყვებით, ნიშნავს სხვა განხილულ საქმეზე მიღებულ სამართლებრივი აქტის იურიდიულ ძალას, მისი დეფინიცია არის სასამართლო გადაწყვეტილება. აქ მითითებული ნორმის თანახმად კი, პრეიუდიციულ ფაქტებად მიჩნეულია საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები – განაჩენი სასამართლობაზე, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება და ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან. აღნიშნულ ნორმაში ჩამოთვლილია ის გარემოებანი, რომელთა მტკიცების ტვირთისაგანაც თავისუფლდებიან მხარეები. მათ შორისაა პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტები, ანუ გარემოებები, რომლებიც დადგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით და სხვა გარემოებანი, მათ შორის, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, რომელიც პრეიუდიციული ძალის მქონე არ არის. ასევე, პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტად არ შეიძლება განიხილებოდეს გარემოებები, რომლებზეც მხარეები შეთანხმდებიან, რადგან ასეთ ფაქტებს სხვა სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს მიერ დადგენილ განაჩენთან კავშირი არა აქვთ და მათი პრეიუდიციული მნიშვნელობის გარემოებად მიჩნევა სრულიად გაუმართლებელია. პრეიუდიციული ძალის ფაქტები ცალსახად დაკავშირებულია წინა სასამართლო აქტთან, რაზეც მეტყველებს ამ ტერმინის ლათინური სახელწოდებაც. ზემოთ უკვე განვმარტეთ, რომ ეს ცნება წარმომდგარია ლათინური ტერმინიდან „prejudicialis.“ თავსართი „pre“ აღნიშნავს წინას, მანამდე არსებულს, ხოლო ტერმინი „judicialis,“ უკავშირდება ლათინურ

ტერმინს „judicia,“ რაც სასამართლოს გადაწყვეტილებას ნიშნავს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პრეიუდიციის აღსანიშნავად ინგლისურ ენაში გამოიყენება ტერმინი „collateral estoppel,“ რაც ქართულად პრეიუდიციას, სხვა საქმესთან დაკავშირებით დადგენილ გარემოებებს ნიშნავს⁹

საგულისხმოა, რომ პრეიუდიციას ახასიათებს ჩვეულებითი სამართლის ელემენტები. ეს „პირველ რიგში, გამოწვეულია იმითი, რომ მხარეები სიტყვიერად შეიძლება შეთანხმდნენ ამა თუ თაქტობრივ გარემოებაზე, სადავოდ არ მიიჩნიონ ის. სამართლებრივი რეგულირება ნაკლებად ხდება მათი ურთიერთობის. ეს ძირითადად ნება-სურვილსა და მათ გამოხატულებაზეა დამოკიდებული. ამის მსგავსად, ჩვეულებითი სამართალი (ე.წ. custom law) სახელმწიფოთა პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბებული ქცევის ერთნაირი წესები, რომლებსაც ისინი იურიდიული ძალის მქონე ნორმებად მიიჩნევენ. სჩს არის საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო და მოქმედებების იმ სფეროებში, რომლებსაც საერთაშორისო ხელშეკრულება ჯერჯერობით მთლიანად ან ნაწილობრივ ვერ მოიცავს. გაეროს საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის თანახმად (38-ე მუხ.), სასამართლო, რომელიც „მოვალეა, მისთვის გადაცემული დავა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე გადაწყვიტოს, იყენებს: ბ) საერთაშორისო ჩვეულებას, როგორც სამართლებრივ ნორმად აღიარებული საყოველთაო პრაქტიკის დადასტურებას“. საერთაშორისო ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, რომელსაც მხარეთა ნების მკაფიო გამომჟღავნების შედეგია, სჩს-ის არსებობა ეფუძნება ე.წ. დუმილით თანხმობას, რომელიც გამომდინარეობს ცალკეული სახელმწიფოების მიერ უკვე დანერგილი, ცალმხრივად შემოღებული იურიდიული ძალის მქონე ქცევის წესების საყოველთაო (საყოველთაო ჩვეულება), რეგიონალური ან ლოკალური პრაქტიკიდან. ამგვარად, ჩვეულება ყალიბდება ორსაფეხურიანი პროცესის შედეგად, ეს საფეხურებია:

- 1) ცალკეული სახელმწიფოების მიერ ერთგვაროვანი ქცევის წესების (პრაქტიკის) შემოღება;
- 2) ამ წესის სავალდებულო ნორმად გადაქცევა სახელმწიფოთა ამა თუ იმ წრისათვის, თუკი დამტკიცდა, რომ აღნიშნული პრაქტიკის მიმდევრები ამ წესს იურიდიულად სავალდებულოდ მიიჩნევენ, რაც ტერმინ *opinio juris sive necessitatis*-ით გამოიხატება.¹⁰

⁹ . „პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.“- გიორგი ბურჯანაძე. სტატიატა კრებული-ადამიანის უფლებების დაცვა, მიღწევები და გამოწვევები. (რედ. კონსტანტინე კორკელია-სტატიათა კრებული გიორგი) 2012წ. გვ38.

¹⁰ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6307>-განმარტებითი ლექსიკონი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ნახვის დრო-11.07.2019წ.

პრეიუდიციაშეცეს ეს ორი გზა განვლო, სანამ არა მხოლოდ ერთი ქვეყნისთვის, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში საკანონმდებლო ნორმად იქცეოდა. თითქმის ყველა ქვეყანაში ვხვდებით მას, სხვადასხვა ფორმით. ეს, რასაკვირველია ამ ორსაფეხუროვანი პროცესის გავლის შედეგად არის. რთული პროცესი, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიცვა. ამიტომაც აშკარაა, რომ ჩვეულებითი სამართლის საწყისები განვლო პრეიუდიციამ, სანამ თანამდეროვე სახით აღმოჩნდებოდა საერთაშორისო სამართლის სისტემებში.

უნდა განვასხვავოთ პრეიუდიცია პრეზუმფციისგან, პრეზუმფციები – სავარაუდო დასკვნებია, რომლებიც „ფაქტების ან მოვლენების ნამდვილობას ადგენენ მათი არსებობის სრული დასაბუთების გარეშე. ამგვარი განმარტების ავტორები პრეზუმფციებს ყოფენ ფაქტობრივ (paesumptionez facti seu hominis) და სამართლებრივ (paesumptionez iuris) პრეზუმფციებად, ხოლო სამართლებრივ პრეზუმფციებს შორის ანსხვავებენ ე.წ. ჩვეულებრივ პრეზუმფციებს, რომელთა უარყოფას დასაშვებად მიიჩნევენ (paesumptionez iuris tantum) და სამართლებრივ პრეზუმფციებს, რომლებიც გამორიცხავენ საწინააღმდეგოს დამტკიცების (პრეზუმფციების უარყოფის) შესაძლებლობას (paesumptionez iuris de iure). ამ უკანასკნელთ ფაქტობრივად, სამართლის ნორმებთან – კანონებთან აიგივებდნენ პრეზუმფციები, ძირითად შემთხვევაში, სამართლის ნორმების მსგავსად საკანონმდებლო პოლიტიკის სპეციალურ წესებს წარმოადგენენ და არა ალბათურ ვარაუდს, როგორც მას მიიჩნევენ. ამასთან, რიგი იურისტები სამართლებრივი პრეზუმფციებიდან საერთოდ გამორიცხავენ იმ ზოგად წესებს, რომლებიც მოსამართლეთა საქმიანობის საერთო პრინციპებს წარმოადგენენ. მაგ. დებულებას, რომ ადამიანი ივარაუდება კეთილსინდისიერად და შერაცხადად, სანამ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო, რიგი იურისტები საერთოდ უარყოფენ სამართლებრივი პრეზუმფციების შემოტანის საჭიროებას მათი „ფორმალური“ შინაარსის გამო. პრეზუმფციული დასკვნით ერთი ფაქტი ან მოვლენა არსებულად, დადგენილად ითვლება არაერთგზის მომხდარი ანალოგიური ფაქტებისა თუ მოვლენების საფუძველზე.¹¹ პრეზუმფციის შემთხვევაშიც მარტივი ჭეშმარიტების აღიარება ხდება ყოველგვარი მტკიცების გარეშე, თუმცა იქამდე, სანამ საპირისპირო არ დამტკიცდება. პრეიუდიცია კი აღარ მოითხოვს მტკიცებას, რადგან მხარეები მასზე უკვე შეთანხმდნენ და გამოკვლევა აღარ არის საჭირო ამ ფაქტობრივი გარემოებების. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულად პრეიუდიცია და პრეზუმფცია ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მაინც თვალსაჩინო და არსობრივია მათ შორის განსხვავება, რაც რიგ ფაქტორებში გამოიხატება.

¹¹ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=4191> -პრეზუმფციის განმარტება. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ნახვის დრო-11.07.2019წ.

თავი II

პრეიუდიცია, როგორც მტკიცებულება.

2009 წელს ამოქმედებულმა ახლებურად ჩამოყალიბებულმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, რომელიც, თავისთავად, შეჯიბრებითობის პრინციპზეა დაფუძნებული, სრულიად სხვაგვარად დაარეგულირა სისხლის სამართლის პროცესზე მხარეთა მიერ მტკიცებულებების მოპოვების, მათი დასაშვებობისა და სასამართლოს მიერ შეფასების წესები. მიუხედავად ასეთი ძირეული ცვლილებებისა, მაინც ვერ მოხერხდა მტკიცებულებების შესახებ ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბება. ძალიან ბევრი საკითხი, რომელიც სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებებს შეეხება, დღესაც ბუნდოვანია და ერთგვაროვანი მიდგომა არ არსებობს.

სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირეულ მოთხოვნას სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფა წარმოადგენს. პროცესის სამართლიანობა გულისხმობს, ბრალდებულისთვის შანსის მიცემას, ეფექტურად დაიცვას თავი მატერიალურად და პერსონალურად მასზე გაცილებით უკეთესად აღჭურვილი პროკურატურის მიერ წარდგენილი ბრალდებებისგან. ცნება „სამართლიანი პროცესი“ ძალზედ ზოგადია და შედგება ცალკეული ელემენტებისაგან. ამ ელემენტებს მიეკუთვნება ბრალდებულის ცალკეული უფლებები, რომლებიც მას პროცესის აქტიურ სუბიექტად აქცევს. მათ შორის, უფლება დააყენოს შუამდგომლობები სასამართლო პროცესზე. პრეიუდიცია, როგორც სამართლის ერთ-ერთი ინსტიტუტი, მაგალითად სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში გამოყენებული პრეიუდიცია თავისი დატვირთვით, აბსოლუტურად განსხვავდება სისხლის სამართალში არსებული ტერმინს შინაარსობრივი კონტენტისგან. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მესამე კარი მტკიცებულებებს ეძღვნება. თანამედროვე ქართულ სისხლის სამართლის პროცესში ჭარბობს ანგლო-ამერიკული სამართლის ნიშნები, ამიტომაც მხარეთა შეჯიბრებითობაზე აგებული მთლიანად ქართული სასამართლო სისტემა. მხოლოდ მხარეთა კომპეტენციაა მტკიცებულებების მოპოვება და მათი წარმოდგენა სასამართლო პროცესზე, მოსამართლის წინაშე, მათი

გამოსაკვლევად წარმოდგენა და კონტრარგუმენტების წარმოდგენა დაპირისპირებული მხარის კონკრეტულ მტკიცებულებებზე. მხარეებს გააჩნიათ პროცესზე ბატონობის შესაძლებლობა და შეუძლიათ პროცესის ნებისმიერ ეტაპზე დაამთავრონ საქმის წარმოება ბრალდებაზე უარის თქმის ან საპროცესო შეთანხმების გზით.¹²

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მესამე კარი მტკიცებულებებს ეძღვნება. მასში რეგულირდება მტკიცებულებების ყოველგვარ სახესთან, მტკიცების საგანთან და პროცესზე მათ დასაშვებობასთან დაკავშირებული ყველა ასპექტი. სისხლის სამართლის პროცესის ეს კარი არ არის ამომწურავი, თუმცა საკანონმდებლო ცვლილებებმა მაქსიმალურად ნათელი გახადა ძალიან ბერვი საკითხი, რომელიც აქამდე ბუნდოვანი იყო სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთათვის. საგულისხმოა, რომ მხარეთა შეიჯიბრებითობის თვალსაზრისით, მოქმედმა კანონმდებლობამ, ცვლილებების მიუხედავად, მრავალი ხარვეზი გააჩინა სისხლის სამართლის პროცესში. საყურადღებოა, რომ საქართველოს ამჟამინდელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კიდევ ერთ მნიშვნელოვან ხარვეზს შეიცავს. კერძოდ, მითითებული კოდექსის 93-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაცვის მხარე შეზღუდულია სასამართლოს წინაშე მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის თაობაზე დააყენოს შუამდგომლობა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე. მაგალითად, თუკი დაცვის მხარეს (ადვოკატს) თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, სურს დააყენოს შუამდგომლობა და მოითხოვოს ჩხრეკის ოქმის დაუშვებლად ცნობა, მას შემდეგ, რაც პოლიციის შესაბამისი თანამშრომლები და სხვა მონმეები დაიკითხებიან სასამართლოში, ან, თუკი რომელიმე მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი მხოლოდ წინასასამართლო სხდომის შემდეგ გამოვლინდა, დაცვის მხარეს არ ექნება შესაძლებლობა მთავარ სხდომაზე დააყენოს ასეთი შუამდგომლობა, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელებაზე და ამდენად, სამართიანი სასამართლო განხილვის უფლებაზე.¹³ მხარეები თავიანთი შეხედულებისამებრ მოიპოვებენ და წარადგენენ მტკიცებულებებს, რაც გულისხმობს იმას, რომ ვერავინ დაავალდებულებს მხარეს მოიპოვოს ან არ მოიპოვოს ესა თუ ის მტკიცებულება, ისევე როგორც ვერავინ აუკრძალავს მხარეს, კანონით

12

<https://mimomxilveli.wordpress.com/tag/%E1%83%9B%E1%83%A2%E1%83%99%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/>- სამართლის ბლოგი. ბოლოს ნანახია 11.07.2019 წ.

¹³ “დაცვის უფლების ქმედითობა სისხლის სამართლის პროცესში: მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობაზე შუამდგომლობის უფლება სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე“- ანგარიში. 2013 წ. გვ.13

გათვალისწინებულ შემთხვევაში და წესით, ამა თუ იმ მტკიცებულების მოპოვებას.¹⁴ პრეიუდიციის როლი სისხლის სამართლის პროცესში იმდენად დიდია, რომ მისი დატოვება უზუსტობებითა და ჩამოუყალიბებელი ხასიათით არ უნდა არსებობდეს ქართულ კანონმდებლობაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში, პრეიუდიციასთან დაკავშირებული რეგულირება, ერთ-ერთი ყველაზე ბუნდოვანი და გაუგებარია. მოსამართლე სასამართლო პროცესზე გამოკვლეულ მტკიცებულებებს, რომელიც უკვე შესწავლილი და ნათლად წარმოჩენილია, უპირისპირებს ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც გამოკვლევის გარეშე დაშვებული პროცესზე და მის სარწმუნოებასა და სამართლებრივ სისწორეში, არავის ეპარება ეჭვი. ვინაიდან პრეიუდია მტკიცებულებების ერთ-ერთი სახეა და მასზე იგივე წესები ვრცელდება, რაც, სტანდარტულად, კოდექსით გათვალისწინებულ მტკიცებულებათა ყველა სხვა სახეზე, უნდა აღინიშნოს, რომ მასაც, თავისთავად, აქვს დასაშვებობის ეტაპი, მისი სადავოდ გახდაც შესაძლებელია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე და მხარეთა შეჭიბრებითობა სწორედ ამ კუთხით გამოიხატება პრეიუდიციასთან მიმართებაში. მხარეს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე იქნება ეს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული საკვლევი დებულებების ფორმულირება სასურველია იმგვარად შეიცვალოს, რომ დაცვის მხარეს იქნება ეს დაცვის თუ ბრალდების მხარე, თანაბარი უფლებები ჰქონდეს მტკიცებულებათა წმოდგენის და მათი სადავოდ გახდის პროცესში. მიენიჭოს შესაძლებლობა ჯეროვნად განახორციელოს ბრალდებულის დაცვა, რაც მოიაზრებს, რომ დაცვის მხარეს (ადვოკატს) უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ბრალდების მხარის მტკიცებულება სადავოდ გახადოს სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე.¹⁵

მტკიცებულებები აღნიშნული კარის საფუძველზე შეიძლება დავეყოთ შემდეგ სახეებად : ბრალდებულის ჩვენება, მოწმის ჩვენება, ირიბი ჩვენება, ნივთიერი მტკიცებულება, დოკუმენტი, როგორც მტკიცებულება და ყველაზე ცალკე მდგომი სახე, რომელიც გამორჩეული და განსხვავებული ინსტიტუტია მტკიცებულებათა სახეებს შორის - პრეიუდია. სისხლის სამართლის პროცესის თანამედროვე რეგულირების მიხედვით, პრეიუდია არის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, განაჩენი კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე. ტერმინი „კანონიერ ძალაში შესული“ არ გულისხმობს საბოლოო

¹⁴ . „მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში“- ჩომახაშვილი, თომაშვილი, ძებნიაური და სხვები. 2016 წ.

¹⁵ “დაცვის უფლების ქმედითობა სისხლის სამართლის პროცესში: მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობაზე შუამდგომლობის უფლება სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე“- ანგარიში. 2013 წ. გვ.15

res judicata. განაჩენს და შეიძლება მისი გასაჩივრება ზემდგომ ინსტანციაში. ბუნებრივია, რომ მხარეს მტკიცებულებებთან დაკავშირებით აქვს უფლება : დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება. საინტერესოა ხდება თუ არა პრეიუდიციასთან, როგორც მტკიცებულებასთან ყველა წესის დაცვა? რასაკვირველია, გარკვეული შესაძლებლობა პრეიუდიციასთან დაკავშირებით უადგილო იქნებოდა მხარეს გამოეყენებინა, მაგალითად მტკიცებულების მოპოვების ასპექტში. ის ფაქტი, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია და არ იწვევს ეჭვს საზოგადოებაში, ანდა არის განაჩენი სასამართლობაზე ასეთი მტკიცებულება არ საჭიროებს მოპოვებას , ზედმეტ ძალისხმევას არ მოითხოვს მხარეებისგან მისი აღმოჩენა და სასამართლოზე წარდგენა.

საგულისხმოა, რომ წორედ ასეთი მცირე დეტალები განასხვავებს პრეიუდიციას სხვა მტკიცებულებებისგან, რომელთა ერთ სისტემაში მოქცევა გაცილებით მარტივია ვიდრე ამ უკანასკნელის. პირველ რიგში, პრეიუდიციასთან მიმართებაში განსხვავებულია მოსამართლეთა როლი მხარეთა შეჯიბრობითობის კუთხით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ყურადღებას ამახვილებს მტკიცებულების გამოკვლევის ფორმაზე. კერძოდ, მე-14 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ეს ხდება უშუალოდ და ზეპირად. დამატებით აღნიშნული ხაზგასმულია კოდექსის 25-ე მუხლის მეორე ნაწილში, სადაც შეჯიბრებითი მართლმსაჯულების ძირითადი დებულებაა წარმოდგენილი: „სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა. მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეთა კომპეტენციაა.“¹⁶

თავი III

პრეიუდიციის სახეები

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი

¹⁶ „პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.“- გიორგი ბურჯანაძე. სტატიატა კრებული-ადამიანის უფლებების დაცვა, მიღწევები და გამოწვევები. (რედ. კონსტანტინე კორკელია-სტატიათა კრებული გიორგი) 2012წ. გვ.55.

პრეიუდიციის საკანონმდებლო რეგულირება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, გათვალისწინებულია 73-ე მუხლში, რომელიც პირდაპირ ჩამოთვლის იმ საკითხებს, რომლებიც სასამართლოზე წარმოდგენილი შეიძლება იქნეს გამოკვლევის გარეშე და მიღებულ იქნეს მტკიცებულებათ. ამ შემთხვევაში, მოსამართლე აღარ გამოიკვლევს ასეთი ფაქტების შინაარსობრივ მხარეს, მას უფერალოდ მიიღებს დასაშვებ მტკიცებულებად და პროცესზე აღარ გაიუღერებს ისინი. პრეიუდიციის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, აღნიშნული ფაქტები შეიძლება იყოს მეცნიერების მიერ დადგენილი კანონზომიერება, ფაქტები, რომლებიც საყოველთაოდ არის ცნობილი სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის ფარგლებში, ან რომელთა ზუსტი და დაუყოვნებლივი დადგენა ძალიან მარტივია. საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს მიეკუთვნება ცხოვრებისეული გამოცდილება ცალკეული ფაქტების შესახებ, რომელიც დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს.(მაგ:ახალი წლის დადგომის თარიღი, წელიწადი თვეების თანმიმდევრობა, რომ სატრანსპორტო საშუალება მომეტებული საფრთხის წყაროა და შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის დაზიანება და სიკვდილი და ა.შ)¹⁷ ასევე ისტორიული ფაქტები, ბუნებისა და მეცნიერების მოვლენები. რაც ყველაზე მთავარია, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი არის ისეთი საყოველთაოდ ცნობილი მოვლენა, რომელიც კეთილგონიერების ფარგლებში, შეუძლებელს ხდის მის სადავოდ გახდომას. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი შეიძლება იყოს ისეთი ფაქტი, რომელიც კონკრეტული საშუალებით შეიძლება ადვილად დადგინდეს და განისაზღვროს, მაგალითად რომელიმე შენობის სიმალლე შეიძლება გაიზომოს საზომი ხელსაწყოთი.საზოგადო ფაქტები, თავის მხრივ, სამი ტიპის ქვეკატეგორიისგან შედგება:

1. ზოგადგანათლებითი განსაზღვრებები – ამ ტიპის ინფორმაცია მოიცავს იმგვარი სახის ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებიც ზოგადი ინტელექტის მქონე ადამიანისთვის არ საჭიროებენ მტკიცებას.(მაგალითად, დედამიწის ბრუნვალობა და მისი გრაფიტაცია არ ექვემდებარება მტკიცებას). უმეტესად ამგვარი ხასიათის ინფორმაცია პრეიუდიციად მიიღება გაუცნობიერებლად, მათი აქსიომატური ხასიათიდან გამომდინარე.
2. სპეციფიკური ფაქტების საზოგადო ცოდნა – ამ შემთხვევაში მოსამართლეებს აქვთ ფაქტების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობებიდან მომდინარეობენ. მოსამართლე ამ შემთხვევაში არის არა ფაქტის უბრალო მონმე, არამედ ინფორმაციის ლოკალური რეზონანსი და უნივერსალური ხელმისაწვდომობა აძლევს მას ინფორმაციის გამოყენების უფლებას. მაგალითად, პატარა დასახლებაში მომხდარი ხანძარი, რომელიც ყველა მოსახლისთვის (მათ შორის მოსამართლისთვის) გახდა ცნობილი. 3

¹⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. გვ251. გამომცემლობა „მერიდიანი“. 2005 წ. 1 ოქტომბერი.

3. სპეციფიკური ფაქტები და ზოგადგანათლებითი განსაზღვრებები, რომლებიც არ არიან უნივერსალური (თუნდაც ადგილობრივ დონეზე) ხასიათის მატარებლები, მაგრამ ხელმისაწვდომი წყაროების საშუალებით ექვემდებარებიან სწრაფ განსაზღვრებას. (მაგალითად, შემდეგი სახის კონკრეტული ინფორმაციის მითითება ხდება შესაბამის ავთენტიკურ წყაროზე დაყრდნობით – საშინაო და საგარეო პოლიტიკური და სამთავრობო საკითხები, სახელმწიფოთა და ტერიტორიულ ერთეულთა სასაზღვრო-სადემარკაციო განსაზღვრებები, საჯარო მოხელეთა ვინაობა და ფუნქციები, ოფიციალური ხელმოწერები, ბეჭდები და შტამპები, სამეწარმეო და ბიზნესის ფაქტები, პროფესიული ჩვევები და ტრადიციები, ეკონომიკური და ფინანსური მოვლენები, ისტორიული, გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ფაქტები, მეცნიერებისა და ფიზიკის კანონები, ბუნების ძალები, ხელოვნება და გამოგონებები, დრო, სეზონები და ფაუნა, სიტყვების მნიშვნელობა და სხვა. ზემოაღნიშნული სამი ტიპის საზოგადო ფაქტები ან წარმოადგენდნენ მოსამართლის ზოგად ცოდნას, ან კონკრეტულ ზოგადი შინაარსის საყოველთაო ფაქტებს, ან/და ისეთ მკაფიო და აშკარა მტკიცებით განსაზღვრებებს, რომლებიც არცერთ მხარეს არ გაუჩინენ საწინააღმდეგოს მტკიცების სურვილს. ეს არ გამორიცხავს მხარის მიერ ფაქტის შედავებას და საწინააღმდეგო მტკიცებულების წარმოდგენას.¹⁸

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი შეიძლება იყო ორი სახის : უნივერსალური და ლოკალური. მათ შორის განსხვავება ინფორმაციის გავრცელების არეალშია. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი სადავო შეიძლება გახადოს მხარემ ორ შემთხვევაში :
1.სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტება ამ ფაქტთან მიმართებაში არ არის ზუსტი;
2.ეს გარემოება არ არის საყოველთაოდ ცნობილი.¹⁹

განაჩენი ნასამართლობაზე

პრეიუდიციის შემდეგი სახეა სასამართლო განაჩენი (გადაწყვეტილება) ნასამართლობაზე , რომლითაც ფაქტობრივი გარემოებები დასტურდება. აღნიშნულის საზრისია ის ფაქტი, რომ სისხლის სამართალი არის ყველაზე მეტი სკრუპულოზობით გამორჩეული დარგი და რომელიც სწავლობს გარემოებებს მაქსიმალური სიზუსტით. ამის მიუხედავად, სხვადასხვა ქვეყანასასამართლო განაჩენს და მის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას არგანიხილავს პრეიუდიციად და დამოუკიდებელ

¹⁸ „პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.“- გიორგი ბურჯანაძე. სტატიატა კრებული-ადამიანის უფლებების დაცვა, მიღწევები და გამოწვევები. (რედ. კონსტანტინე კორკელია-სტატიათა კრებული გიორგი) 2012წ. გვ.52.

¹⁹ . „მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში“- ჩომახაშვილი, თომამშვილი, ძეგნიური და სხვები. 2016 წ. გვ.25.

მტკიცებულებად მიიჩნევენ, ეს ეხება ძირითადად ანგლო-საქსური სამართლებრივი სისტემის ქვეყნებს, როგორცაა ინგლისი, ახალი ზელანდია, ამერიკის შეერთებული შტატები და ა.შ.²⁰ დამატებით აღსანიშნავია, რომ სასამართლო განაჩენის პრეიუდიციალ გამოყენების შემთხვევაში მიიღწევა ფაქტობრივ გარემოებათა ერთგვაროვანი შეფასების შემთხვევები, რაც მართლმსაჯულებისთვის მეტად მნიშვნელოვანია. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების უარყოფა დასჯადი ქმედებაა და, შესაბამისად, სასამართლოს მიერ მისი გაზიარებაც ავტომატურად სავალდებულო ხდება. პრეიუდიციულად სისხლის სამართლის განაჩენის მიჩნევა საკმაოდ აქტუალური და მნიშვნელოვანია თანამონაწილეობითი ან ჯგუფური დანაშაულების დროს, რადგან ამ შემთხვევაში რამდენიმე პირის მიერ ჩადენილი ქმედება ერთმანეთთან არის დაკავშირებული. სანინალმდევო სურათია იურისდიქციათა უმეტესობაში, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოდ ცნობილ ფაქტებსა და პრეიუდიციას შორის არსებობს შესაბამისი განსხვავება. განაჩენი ნასამართლობაზე მოიცავს სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათ შორის დანაშაულის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით, მაგრამ არა ბრალდებულის ბრალეულობასთან მიმართებით. განაჩენთან მიმართების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლი, ფაქტობრივად ითვალისწინებს არა პრეიუდიციას, არამედ დაძლევად პრეზუმფციას სხვა საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ჭეშმარიტების შესახებ. თუ წინა განაჩენით დადგენილი გარემოებები ეწინააღმდეგება ახალ საქმეზე შეკრებილ და გამოკვლეულ მტკიცებულებებს, მაშინ არ ხდება მათი გათვალისწინება და არ მიიჩნევა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად.²¹ პრეიუდიციის ეს სახე აღნიშნავს და მკაფიოდ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ განაჩენით დადგენილი ფაქტები და გარემოებები აღიარებულია და მიჩნეულია სარწმუნოდ როგორც მხარეების, ისე პროცესის ყველა მონაწილის მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ პრეიუდიციული მნიშვნელობა ენიჭება როგორც ჩვეულებრივი სამართალწარმოების, ასევე ე.წ გამარტივებული სამართალწარმოების შედეგად გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს.

სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები.

პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია, მიიჩნიოს დადგენილად და ყოველგვარი შესწავლისა და გადამოწმების გარეშე სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები მიიღოს პრეიუდიციალ. მიუხედავად იმისა, ეს განაჩენი გამოტანილია იმავე ბრალდებულის თუ სხვა პირების მიმართ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი

²⁰ Ch. T. McCormick, Handbook of the Law of Evidence (West Publishing, 1954), 618-619

²¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი-ავტორთა კოლექტივი. გვ 252, 2016 წ.

ათავისუფლებს პროცესის მწარმოებელ ორგანოს და მხარეებს იმ ობიექტური გარემოებების მტკიცების ვალდებულებისგან, რომლებიც უკვე გამოკვლეულ იქნა საქმისწარმოების ფარგლებში სამართლის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. პრეიუდიციული მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ამიტომ, ამავე პირების მიმართ, ამავე სამართალდარღვევასთან მიმართებით არ მიენიჭება პრეიუდიციული მნიშვნელობა ადმინისტრაციულ ან სამოქალაქო სამართლის ფარგლებში მიღებულ განაჩენს.²² სასამართლო განაჩენი (გადანყვეტილება), რომლითაც ფაქტობრივი გარემოებები დასტურდება პრეიუდიციის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ განსახილველი სახეა. აღნიშნულის საზრისია ის ფაქტი, რომ სისხლის სამართალი არის ყველაზე მეტი სკრუპულოზობით გამორჩეული დარგი და რომელიც სწავლობს გარემოებებს მაქსიმალური სიზუსტით. ამის მიუხედავად, სხვადასხვა ქვეყანა სასამართლო განაჩენს და მის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას არ განიხილავს პრეიუდიციად და დამოუკიდებელ მტკიცებულებად მიიჩნევენ. საწინააღმდეგო სურათია იურისდიქციათა უმეტესობაში, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოდ ცნობილ ფაქტებსა და პრეიუდიციას შორის არსებობს შესაბამისი განსხვავება. ამის მიზეზი მრავალგვარია და, პირველ რიგში, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ პრეიუდიციის განსაზღვრების შინაარსი არ არის ამომწურავი და დოქტრინული შეხედულებები აშკარად მიუთითებენ მის კომპონენტთა გაფართოების შესაძლებლობაზე. დამატებით აღსანიშნავია, რომ სასამართლო განაჩენის პრეიუდიციად გამოყენების შემთხვევაში მიიღწევა ფაქტობრივ გარემოებათა ერთგვაროვანი შეფასების შემთხვევები, რაც მართლმსაჯულებისთვის მეტად მნიშვნელოვანია. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების უარყოფა დასჯადი ქმედებაა და, შესაბამისად, სასამართლოს მიერ მისი გაზიარებაც ავტომატურად სავალდებულო ხდება. პრეიუდიციულად სისხლის სამართლის განაჩენის მიჩნევა საკმაოდ აქტუალური და მნიშვნელოვანია თანამონაწილეობითი ან ჯგუფური დანაშაულების დროს, რადგან ამ შემთხვევაში რამდენიმე პირის მიერ ჩადენილი ქმედება ერთმანეთთან არის დაკავშირებული.²³

ნებისმიერი სხვა გარემოება ან ფაქტი, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან.

²² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი-ავტორთა კოლექტივი. გამომცემლობა „მერიდიანი“. 2005 წ. 1 ოქტომბერი. გვ.255.

²³ . „პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.“- გიორგი ბურჯანაძე. სტატიატა კრებული-ადამიანის უფლებების დაცვა, მიღწევები და გამოწვევები. (რედ. კონსტანტინე კორკელია-სტატიათა კრებული გიორგი) 2012წ. გვ.54

73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის მიხედვით, მხარეებს უფლება აქვთ შეთანხმდნენ საქმეში არსებულ კონკრეტულ მტკიცებულებებზე. ეს ემყარება სისხლის სამართლის პროცესის 220-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტს. აღნიშნული მტკიცებულებები, შეთანხმების შემდეგ, სადავო აღარ გახდება სასამართლო განხილვისას. წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ არასადავო მტკიცებულებების დამტკიცების შემდეგ, სადავო აღარ გახდება მხარეების მიერ ესა თუ ის გარემოება თუ ფაქტი. ეს ნიშნავს იმას, რომ მხარეები ძალიან ვრცელი უფლებამოსილებით არიან აღჭურვილნი, ასევე მათ აქვთ ამა თუ იმ მტკიცებულების მათთვის ავკარგიანობის გააზრების შესაძლებლობაც. თუმცა აღნიშნული უნდა კონტროლდებოდეს მოსამართლის მიერ, რათა მხარეებმა არ გამოიყენონ ყოველი უფლება არაგონივრულად. ნებისმიერი სხვა გარემოება ან ფაქტი, ასეთი დათქმა ნამდვილად არ არის ზუსტი და კონკრეტულად გასაგები. ეს დათქმა საჭიროებს განმარტებას, როგორ შეიძლება მიღებული იქნეს მხარეების მიერ შეთანხმებული ყველა ფაქტობრივი გარემოება უპირობოდ მოსამართლის მიერ? ამ შემთხვევაში ძალიან ვრცელ უფლებამოსილებას ვაკისრებთ მხარეებს. მოსამართლეს კი ნამდვილად ეზღუდება სამოქმედო საზღვრები სამართლებრივი თვალსაზრისით. მას უნდა შეეძლოს მხარეთა მტკიცებულებების სრულად შეფასება. წარმოუდგენელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებას მივანდოთ მტკიცებულების ბედი, როდესაც სწორედ რომ მტკიცებულებები წყვეტენ საქმის ბედ-ილბალს. საფუძველი ამ გადაწყვეტისა თუმცა მტკიცებულებებია, მაგრამ სწორად შეფასებას საჭიროებს ყოველგვარი წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც გამოკვლევის საგნად შეიძლება იქცეს, ეს კი მოსამართლის პრეროგატივაა.

თავი IV

პრეიუდიციის შედარებითსამართლებრივი დახასიათება.

4.1 პრეიუდიციის საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში.

მტკიცებულება, თავისი ტრანსპარენტული ხასიათიდან გამომდინარე თავის თავში გამორიცხავს პროცესის ყოველგვარ უზუსტუბასა და სიმრუდეს, ერთიანი მიმართულებიდან გადახვევას. თუმცა ამ შემთხვევიდან სისხლის სამართლის პროცესი იცნობს მხოლოდ სამ შემთხვევას გადახვევისა.

1. მხარეთა შეთანხმება-(stipulation, formal admission) – ამ შემთხვევაში

პროცესის ორი მხარე თანხმდება გარკვეული ფაქტების შესახებ და აღნიშნული გარემოებები მოსამართლისთვის სავალდებულო ხდება.

2. პრეზუმფცია – როდესაც კონკრეტული მტკიცებულებით prima facie ფაქტი დგინდება, სანინაალმდეგოს დამტკიცებამდე.

3. პრეიუდიცია (judicial notice, prejudicio)– ამ შემთხვევაში ფაქტის საზოგადო მნიშვნელობიდან, კონკრეტული ცოდნის ყოვლისმომცველობიდან ან წყაროს მაღალი სანდობიდან გამომდინარე, მოსამართლის მიერ ხდება კონკრეტული ფაქტის მტკიცებულებად მიღება მხარეთა პროცესში მონაწილეობის გარეშე.²⁴ პრეიუდიციის ზოგადი განმარტება შემდეგნაირია – „სასამართლოს მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, საზოგადოდ ცნობილი და უდავო ფაქტების აღიარება და მხარეთა მტკიცების ტვირთისგან გათავისუფლება“²⁵ ჩვენი ყურადღება, აღნიშნულ ნაშრომში ეთმობა პრეიუდიციას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პრეიუდიციის მუხლის (73-ე) ფორმულირებას შემდეგნაირად წარმოგვიდგენს:

გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება:

ა) საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი;

ბ) განაჩენი ნასამართლობაზე;

გ) სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუ პროცესის არცერთი მონაწილე მათ საეჭვოდ არ ხდის;

დ) ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან.

2. მხარის ინიციატივით, სასამართლომ შეიძლება უარყოს პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტი, თუ ეს ფაქტი ეწინააღმდეგება სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებს.

აღნიშნული ფორმულირება მოიცავს ე.წ. „შეთანხმებულ გარემოებებსაც“. განაჩენი ნასამართლობაზე და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე შემთხვევას აწესრიგებენ. „გ“ ქვეპუნქტი ეხება ცალკე აღებულ ფაქტს, ხოლო „ბ“ მის იურიდიულ შეფასებას.

²⁴ . „პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.“- გიორგი ბურჯანაძე. სტატიატა კრებული-ადამიანის უფლებების დაცვა, მიღწევები და გამოწვევები. (რედ. კონსტანტინე კორკელია-სტატიათა კრებული გიორგი) 2012წ. გვ.48-49.

²⁵ Black’s Law Dictionary, (8th edn, Thomson West, 2004), 863-4

შესაბამისად, ამ ანალიზის საგანი იქნება მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი პრეიუდიციული ხასიათი. პრეიუდიცია შესაძლებელია მხარეების მიერ გამოყენებული იქნეს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. რაც არ ბოჭავს მათ და არ უკარგავს შესაძლებლობას პროცესის ყველა სტადიაზე გამოიყენონ თავიანთი სამართლებრივი უფლება. მათ შორის დასკვნითი სიტყვების წარმოდგენისასაც კი, თუმცა მანამდე პროცესის მსვლელობისას აღნიშნული ფაქტი უკვე უნდა იყოს პრეიუდიციად მიჩნეული. პირდაპირ პრეიუდიციად მისი დასკვნით სიტყვაში მოხსენიება არ არის კანონით გათვალისწინებული. ეს , რასაკვირველია, გასაგები და სამართლიანია. თუ სასამართლომ არ იმსჯელა რომელიმე ფაქტობრივ გარემოებაზე პროცესებზე, მისი დასკვნით სიტყვაში მოშველიება მრავალ კითხვის ნიშანს გამოიწვევს, ვინაიდან დასკვნითი სიტყვა საქმის ერთ-ერთი ბოლო წერტილია და მეტად ამ თემის განხილვის საშუალება მხარეს აღარ მიეცემა, რაც არ იქნება სამართლიანი ერთ-ერთი მხარისთვის.

ზემოაღნიშნული რეგულირების მიხედვით, პრეიუდიცია არის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, განაჩენი კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე. ტერმინი „კანონიერ ძალაში შესული“ არ გულისხმობს საბოლოო (res judicata) განაჩენს და შეიძლება მისი გასაჩივრება ზემდგომ ინსტანციაში.²⁶ სისხლის სამართლის პროცესის 73-ე მუხლით ჩამოყალიბებულ დეფინიციას თუ მივყავართ, პრეიუდიცია არის იმგვარი მტკიცებულება, რომელიც გამოკვლევას არ საჭიროებს. გამოკვლევა ამ შემთხვევაში არ არის ცალკე აღებული, განყენებული დებულება. ეს არის პროცესუალურად წარმოდგენილი ცნება, რომლის საზღვრებშიც მხარეები მოპოვებულ მტკიცებულებებს პროცესზე წარადგენენ მოსამართლის და მეორე მხარის წინაშე, წარმოაჩენენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეს, აცნობენ შინაარსს. ამის შედეგად კი მეორე მხარეს წარმოეშობა შედავების და საპირისპირო არგუმენტების მოშველიების შესაძლებლობა. გამოკვლევისას ვხვდებით სამ კომპონენტს, მტკიცებულების წარდგენას, რაც გულისხმობს მის თვალსაჩინოებას და ვიზუალურად პროცესზე წარმოდგენას, შინაარსობრივი მხარის წარდგენა, რომელიც დაკავშირებულია წარმოდგენილ მტკიცებულებათა ფაბულის წარმოჩინებას და მისი ქვეტექსტის გაცნობას მოწინააღმდეგე მხარისა და სასამართლოსთვის და ბოლოს, შედავების შესაძლებლობას, რაც ცალსახად ნიშნავს იმას, რომ მოწინააღმდეგე მხარე იკვლევს შენს წარმოდგენილ მტკიცებულებას, წარმოაჩენს კონტრარგუმენტებს და იღებს

²⁶ . „პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.“- გიორგი ბურჯანაძე. სტატიატა კრებული-ადამიანის უფლებების დაცვა, მიღწევები და გამოწვევები. (რედ. კონსტანტინე კორკელია-სტატიათა კრებული გიორგი) 2012წ. გვ.55

მონაწილეობას მის შეფასებაში. აღსანიშნავია, რომ გამოკვლევის შემდეგ ნაფიც მსაჯულებს თუ მოსამართლეს უნდა დარჩეს გარკვეული შთაბეჭდილება და ინფორმაცია საქმის დეტალებსა და შინაარსზე. მტკიცებულებების გამოკვლევა ხდება ზეპირობის პრინციპის სრული დაცვით.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის გათვალისწინებით, ვინაიდან პრეიუდიცია წარმოადგენს სტანდარტულად , მტკიცებულების ერთ-ერთ სახეს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მასზეც ვრცელდება ყველა ის წესი, რომელიც მტკიცებულებების სხვა ინსტიტუტებს უკავშირდებათ. პრეიუდიციაც ჩვეულებრივად წარმოადგენს ისეთ მტკიცებულებას, რომელზედაც ვრცელდება სარწმუნოებისა და შესაბამისობის ზოგადი სტანდარტი.²⁷ პრეიუდიციის გამოყენება მხოლოდ მხარეთა ინიციატივით არის შესაძლებელი ეს ფაქტი გამომდინარეობს იქიდან, რომ მოსამართლე ვერ მოიპოვებს მტკიცებულებას დამოუკიდებლად, თავისი ინიციატივით. ასევე ვერ წარმოადგენს მას რომელიმე მხარის სასარგებლოდ. ეს მხოლოდ მხარეთა პრეროგატივაა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკანონმდებლო პრაქტიკაში, პრეიუდიცია არ გამოიკვლევა მხარეთა მიერ, თუმცა ვინაიდან მათი გამოკვლევა საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მიხედვით, არ არის აუცილებელი , მოსამართლეს უფლება აქვს მიუთითოს ის განაჩენში. სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის მიხედვით, მხოლოდ ის მტკიცებულება დასაშვებია, რომლის ავთენტიკურობაც დასტურდება. ეს მოთხოვნა ვრცელდება პრეიუდიციაზეც. ეს გულისხმობს იმას, რომ მხარეს კონკრეტული საკითხის პრეიუდიციად აღიარებისთვის, წარმოდგენილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი და კანონიერი დოკუმენტაცია სასამართლოს წინაშე მაშინ, როდესაც კანონიერ ძალაში შესული განაჩენით განსაზღვრული ფაქტობრივი გარემოების დადგენა ხდება. პრეიუდიციის მიმართ არსებობს სამი ძირითადი მოთხოვნა, იმისთვის, რომ ის მიჩნეულ იქნეს ავთენტიკურ მტკიცებულებად. ეს მოთხოვნებია :

1. სიზუსტე – სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მითითებისას „ორიგინალი“ ფაქტობრივი გარემოება უნდა იყოს მითითებული სახეცვლილების გარეშე.²⁸ მცირე სახის ან ტექნიკური სახის ცდომილება დასაშვებია, რაც *proprio motu* წესით სასამართლოს მიერაც შეიძლება იქნეს გამოსწორებული და აღმოფხვრილი.

2. კონტექსტუალური ელემენტი – სასამართლო განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამის ორიგინალ კონტექსტში, რადგან მის გარეშე კონკრეტული შინაარსი შეიძლება არაზუსტად ან მცდარად იქნეს გაგებული.

²⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 82-ე მუხლის პირველი ნაწილი. 25.05.2019ის მდგომარეობით.

²⁸ პროკურორი კრსტიჩის წინააღმდეგ (Prosecutor v. Krstic), ICTR, IT-98-33-T, განაჩენი, 2001 წლის 2 აგვისტო, მე-18 პუნქტი. <http://www.icty.org/x/cases/krstic/tjug/en/krs-tj010802e.pdf>

3. ფორმა – კონკრეტული ფაქტები უნდა იქნეს მითითებული საკმარისი სიცხადით განაჩენის შესაბამისი გვერდების, პუნქტების ან სხვა მაიდენტიფიცირებელი ნიშნების გამოყენებით, რათა მეორე მხარეს ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალება, წარმოადგინოს კონტრარგუმენტაცია.²⁹

73-ე მუხლის მეორე ნაწილში ჩამოყალიბებული განმარტება, საკმაოდ არაერთგვაროვანი შინაარსისაა და უკეთესი იქნება თუ მას განმარტება მოჰყვებოდა, ანდაც სხვაგვარად იქნებოდა ჩამოყალიბებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. ეს დათქმა ერთმანეთს უპირისპირებს გამოკვლევულ მტკიცებულებებს და სასამართლო პროცესზე ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე მიღებულ შეუსწავლელ ფაქტობრივ გარემოებებს. მოსამართლე იძულებულია მაინც გამოიკვლიოს ის მტკიცებულება, რომლის შესწავლის და შინაარსის გაცნობის საშუალებას მას კანონმდებლობა არ აძლევს. ამიტომაც იგი პრაქტიკაში ხშირად ეცნობა ბრალდების შესახებ დადგენილებას, საიდანაც იგებს ამა თუ იმ პრეიუდიციული ფაქტის წარმომავლობას.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აუცილებელია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის დახვეწა და მისი უფლო ნათლად ჩამოყალიბება, რაც არ გააჩენს მსგავს კითხვის ნიშნებს. ნორმა იქმნება იმისთვის, რომ პრაქტიკაში იქნეს გამოყენებული, მისი მხოლოდ თეორიული არსებობა არ არის ქვეყნის სამართლებრივი სისტემის გაუმჯობესებისთვის რაიმე სახის სარგებლის მომტანი.

4.2 პრეიუდიცია კონტინენტური სამართლის ქვეყნებში.

კონტინენტური ევროპის სამართალსა და ანგლო-ამერიკულ სამართალს შორის არსებული განსხვავება უკავშირდება პოზიტიურ (დანერვილ) კანონმდებლობას, როგორც სამართლის წყაროს. კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში პოზიტიური კანონმდებლობა სამართლის ძირითადი წყაროა. ანგლო-ამერიკული სამართლის წყაროებს კი წარმოადგენს სამოსამართლო სამართალი (ინგლ. Case Law) და კანონის

²⁹ „პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძველები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.“- გიორგი ბურჯანაძე. სტატიატა კრებული-ადამიანის უფლებების დაცვა, მიღწევები და გამოწვევები. (რედ. კონსტანტინე კორკელია-სტატიათა კრებული გიორგი) 2012წ. გვ.60

სამართალი (ინგლ. Statute Law). კონტინენტურ სამართლის ქვეყნებში ტერმინი პრეიუდიცია განიმარტება, როგორც prejudicio. აღნიშნული ტერმინი კონცენტრირდება მოსამართლის RATIONE MATERIAE როლს უსვამს ხაზს. (prejudicio, ანუ წინასწარ განსაზღვრული). საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესოა სხვა კონკრეტული ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზი. ბუნებრივია, იგულისხმება ის ქვეყნები, რომლებიც, კონტინენტური სამართლის ნაწილად არის მიჩნეული და საქართველოს მსგავსად, უპირატეს სახელმძღვანელო პრინციპად მხარეთა შეჯიბრობითობა აქვთ არჩეული. მაგალითად, საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს შეამდგომლობის დაყენებას პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. ის მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის ორ სახეს იცნობს - ტექსტუალურს და შინაარსობრივს.

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, მხარეებს საშუალება ეძლევათ შეამდგომლობა დააყენონ საბრალდებო პალატის კანცელარიაში გამოძიების დასრულებამდე. გამოძიების დასრულება „განწმენდს“ ყველა მტკიცებულებას. საინტერესოდ არეგულირებს სპეციფიკურ ფაქტობრივ პრეიუდიციებს. თუკი კონკრეტული ინფორმაცია მოსამართლისთვის ცნობილია პროფესიული მოვალეობის შესრულებიდან, მაშინ იგი შემდგომში შეიძლება გამოიყენოს სხვა საქმეშიც. სანააღმდეგო შემთხვევაში მას მხოლოდ მონმის სტატუსი აქვს.³⁰ იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, დაუშვებლობის შესახებ წინასწარი გამოძიების მოსამართლე ვერ გააკეთებს მითითებას. კომპეტენტურია მხოლოდ სასამართლო ინსტანცია. ამდენად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს არ შეუძლია დაუშვებლად ცნოს მტკიცებულება და სწორედ საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე წყდება მტკიცებულებათა დაუშვებლობის საკითხი.

პოლონური სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კმაყოფილდება იმის აღნიშვნით, რომ დაუშვებელ მტკიცებულებებს სამართლებრივი ძალა არ გააჩნიათ. მიუხედავად იმისა, რომ პოლონურ სასამართლო პრაქტიკაშიც ერთ-ერთი აქტუალური და ხშირად გამოყენებადი სწორედ მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ შეამდგომლობაა, იქ არც კი არის განსაზღვრული თუ რა ეტაპზეა შესაძლებელი ასეთი შეამდგომლობის დაყენება და მოქმედებს ზოგადი ნორმა, რომ ნებისმიერ დროს მხარეს აქვს შეამდგომლობის დაყენების უფლება, მათ შორის, საქმის არსებით (მთავარ) სხდომაზეც, ნებისმიერ მომენტში. პოლონეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 367-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მხარეს მისცეს აზრის გამოხატვის (შეამდგომლობის დაყენების) უფლება ნებისმიერ საკითხზე,

³⁰ შედარებითი სისხლის სამართალი, გამომცემლობა - ჟან ჰადელი. 1999წ. გამომცემლობა „სანი“, გვ. 318

ხოლო მე-2 პუნქტი აღგენს, რომ თუ მხარემ ეს უფლება გამოიყენა, ყველა სხვა მხარეს უნდა მიეცეს უფლება გააკეთოს იგივე.

საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარების პარალელურად ნელ-ნელა დამკვიდრდა დოკუმენტების პრეიუდიციალ გამოყენების შესაძლებლობა. აღნიშნული ეროვნულ სამართალში არ გვხვდება. ეროვნულ სამართალწარმოებაში მხოლოდ ზოგადი კლასიფიკაცია წარმოდგენილი, რომლებიც იძლევიან დოკუმენტების პრეიუდიციალ გამოყენების შესაძლებლობას. მაგალითად, სერბეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლი; ავსტრალიის Uniform Evidence Act-ის 144-ე მუხლი და სხვა. ICTY-ს სასამართლო პრაქტიკით მხოლოდ დოკუმენტის ავთენტიკურობა შეიძლება იყოს პრეიუდიციის რეგულირების საგანი მცირეოდენი გამონაკლისებით, მაშინ, როდესაც ICTR-ს და სიერა-ლეონეს სპეციალური სასამართლოს (შემდგომში – SCSL) პრაქტიკა აღნიშნულს დოკუმენტის შინაარსზეც ავრცელებს. დოკუმენტის პრეიუდიციულობის შეფასებისას ორი ფაქტორი მიიღება მხედველობაში – მისი სანრმუნობა და შესაბამისობა.

აღნიშნული ქვეყნების კანონმდებლობის მიმართულება მტკიცებულებებთან დაკავშირებით, ზემოთ მოყვანილი მაგალითების გათვალისწინებით, ნათელი გახდა. კონტინენტური სამართლის ქვეყნებში ყოველგვარი ნორმა წერილობითია, კოდიფიცირებული ხასიათისაა, ანგლო საქსური სამართლის ქვეყნებში კი მოქმედებს პრეცედენტული სამართალი, რაც უფრო დიდ სამოქმედო არეალს აძლევს მოსამართლეებს გადანყვეტილების მიღებისას და საქმის ანალიზის დროს. ამ შემთხვევაში, პრეიუდიციას უფრო დიდი როლი ენიჭება ანგლო-საქსური სამართლის ქვეყნებში, ვიდრე ეს კონტინენტური სამართლის ქვეყნებშია. პრეიუდიციასთან დაკავშირებით მიდგომა იმავე ხასიათს ატარებს და გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიღების საკითხიც ერთგვაროვანი სისტემით ხასიათდება, თუმცა კონტინენტური სამართლის ქვეყნების უმრავლესობა პრეიუდიციასთან მიმართებაში, მტკიცების პროცესში, იცნობს მოსამართლის აქტიურ როლს. ამ შემთხვევაში, მოსამართლეს შეუძლია მოიპოვოს მტკიცებულებები თავისი ინიციატივით და დაურთას საქმეს. ფაქტების და სამართლებრივი საკითხების შეფასების მხრივ, სამართლის თეორია იცნობს „აქტიური მოსამართლის „ სამ შემთხვევას:

1) როდესაც მოსამართლე იყენებს კანონს მხარეთა მოთხოვნისგან დამოუკიდებლად (პრინციპი – *jura novis curia*);³¹

³¹ D. Brooker, 'Va Savoir! – The Adage Jura Novis Curia', in: Contemporary France', [2005] Bepress Legal Series, 845.

2) როდესაც მოსამართლე სამართალშემოქმედებითი (რაც კონკრეტულად ნორმის ინტერპრეტაციაში, ანალოგიის გამოყენებაში ან კონსტიტუციური სამართალწარმოების პირობებშია შესაძლებელი) საქმიანობის ფარგლებში ახდენს სოციალური, ეკონომიკური ან სხვა შესაბამისი ფაქტების (ე.წ. legislative facts) მხედველობაში მიღებას საკუთარი ინიციატივით;³²

3) როდესაც მოსამართლე ახდენს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების დამტკიცებას პრეიუდიციის საშუალებით (ე.წ. adjudicated facts). მხოლოდ ეს უკანასკნელი, მესამე შემთხვევა, არის სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისთვის შესაბამისი კატეგორია, რომელიც საჭიროებს შეზღუდვას ადამიანის უფლებათა სამართლიდან გამომდინარე.³³

კონტინენტური სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა პრეიუდიციასთან მიმართებაში, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, განსხვავებულ მიდგომებს აცალიბებს, თუმცა მაინც არსებობს ძალიან დიდი კვეთის წერტილი ამ ორ სამართლის სისტემას შორის, რომელიც გამოკვლევის გარეშე ფაქტობრივი გარემოებების მიღებას ითვალისწინებს სასამართლო პროცესზე. უპირველესად, მსგავსი ინსტიტუტის გამოყენება დასაშვებია იმიტომ, რომ ძალიან დიდი საპროცესო რესურსის დაზოგვა ხდება მხარეების მიერ. ყველა ფაქტობრივი გარემოების გამოკვლევა, რა თქმა უნდა, აპრიორი არ არის მიზანშეწონილი, მისი სიმარტივის თვალსაზრისით, ან/და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ არ საჭიროებს ყოველგვარი ინფორმაცია მტკიცებას. ამიტომაც, ხშირ შემთხვევაში, უმჯობესია სასამართლო რესურსის დაზოგვა მოხდეს, ეს რესურსი პირველ რიგში არის სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის საჭირო დროის მენეჯმენტი.

4.3 პრეიუდიცია ანგლო-საქსური სამართლის ქვეყნებში

კონტინენტური სამართლის ქვეყნებისგან განსხვავებით, ანგლოსაქსური ქვეყნები უფრომ ეტად ღვანან პრეიუდიციის სანყისებზე, რაც გამოიხატება მის, როგორც სამართლის წყაროდ გამოყენებაში. პრეიუდიციას ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნები უმეტესად იცნობენ ტერმინით – judicial notice. ამ შემთხვევაში, ტერმინი მოსამართლის ad hominem აქტიურ როლს უსვამს ხაზს. რაც ნიშნავს იმას, რომ მოსამართლე აქტიურად არის ჩართული პროცესის მიმდინარეობაში. მას შეუძლია მტკიცებულებები თავისი ინიციატივით მოიპოვოს და გამოიკვლიოს.

³² H.J. Glasbeek, Evidence Cases and Materials (Butterworths, 1977), 653.

³³ „პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.“- გიორგი ბურჯანაძე. სტატიატა კრებული-ადამიანის უფლებების დაცვა, მიღწევები და გამოწვევები. (რედ. კონსტანტინე კორკელია-სტატიათა კრებული გიორგი) 2012წ. გვ.50

კონტინენტური ევროპის სამართლისგან განსხვავებით, ანგლო-ამერიკული სამართლის ძირითადი წყაროა პრეცედენტული სამართალი. ანგლო-ამერიკული სამართლისთვის უცხოა ისეთი კოდიფიცირებული აქტები, როგორც სამოქალაქო კოდექსების სახით კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებს აქვთ. პრეცედენტული სამართლის ასეთი დიდი ღიზით არსებობა სამართლის ამ სისტემაში, ზრდის მოსამართლის სამოქმედო არეალს. მას არ ზღუდავს გადანყვეტილების მიღების პროცესში და მისი დასაბუთებისას. უნდა აღინიშნოს, რომ ანგლო-საქსური სამართლის ქვეყნებში არ გვხვდება ისეთი პრობლემატური და ბუნდოვანი პრაქტიკული დამოკიდებულება სხვადასხვა საქმეზე, როგორც მაგალთად, ჩვენი ქვეყნის, (კონტინენტური სამართლის ქვეყანა) კანონმდებლობაში. ეს პრობლემა გამოიხატება შემდეგში, ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა მოსამართლეს იმდენად მწირ შესაძლებლობას აძლევს ფაქტობრივი გარემოების პრეიუდიციალ აღიარების პროცესში, რომ ხშირ შემთხვევაში მოსამართლეები კანონმდებლობაში რეგულაციების არ ქონის გამო, იძულებულნი ხდებიან მის მიღმა იმოქმედონ. კერძოდ, როდესაც სისხლის სამართლის პროცესის 73-ე მუხლის მეორე ნაწილის დათქმაში წერია, რომ „მხარის ინიციატივით, სასამართლომ შეიძლება უარყოს პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტი, თუ ეს ფაქტი ეწინააღმდეგება სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებს.“ ეს ნიშნავს, რომ გამოკვლევის გარეშე მიღებული და მისი შინაარსის გაგების გარეშე მიღებული ფაქტობრივი გარემოება უნდა შევეუპირისპიროთ ისეთ მტკიცებულებას, რომელმაც ყველა შეფასების კრიტერიუმი გაიარა და ძალიან დიდი ძალისხმევა დაიხარჯა მისი სამართლებრივი წარმომავლობის თუ დასაშვებობის გამოკვლევაზე. ეს ძალიან ბუნდოვანი დათქმა, რა თქმა უნდა არ იქნება ანგლო-საქსური ქვეყნისთვის პრობლემა. მათ არ აქვთ კოდიფიცირებული ნორმები, მიდგომებიც მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლეთა შინაგანი რწმენის საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს.

ანგლო-ამერიკული სამართალი (ინგლ. Common Law), აგრეთვე ცნობილი როგორც საერთო სამართალი, არის ეროვნული სამართლებრივი სისტემების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ინგლისის, დიდი ბრიტანეთის დომინიონი ქვეყნების, ბრიტანეთის ყოფილი კოლონიებისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამართალს. ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში სამართლის წყაროს წარმოადგენს სამოსამართლო სამართალი, ე.ი. პრეცედენტული სამართალი. სასამართლოს გადანყვეტილება მხოლოდ მაშინ ითვლება პრეცედენტად, როდესაც კონკრეტული შემთხვევის გამო მიღებული გადანყვეტილება საფუძველად უდევს მომავალში ანალოგიური შემთხვევის გადანყვეტას. ამ პრეცედენტებს აქვთ მბოჭავი ძალა — ზემდგომ პრეიუდიციებს უპირატესობა ენიჭებათ ქვემდგომი პრეიუდიციების მიმართ (*Iudicium superius derogat iudicio inferiori*). ისინი დაცულნი უნდა იყვნენ იმისდამიუხედავად, ეს გადანყვეტილებები სწორად მიაჩნია თუ არა ქვემდგომ სასამართლოს. ამ გადანყვეტილებებში მოცემული

ნესები მანამდეა მხოჭავი, ვიდრე ისინი არ გაუქმდება. გაუქმება კი შეიძლება ზომდგომი სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით ან კანონით. სასამართლოს შეუძლია გათავისუფლდეს ადრე მიღებული გადაწყვეტილებისგან, როდესაც ადგენს ახალ სამოსამართლო სამართალს. პრეიუდიცისგან გათავისუფლების ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს ე.წ. distinguishing, როდესაც გადახვევა დასაბუთებულია ერთეული შემთხვევის განსაკუთრებულობით.³⁴ ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემისთვის დამახასიათებელია კაზუსტიკა — Case Law. იგი ორიენტირებულია ზემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე (პრეცედენტებზე). პრეიუდიცია აძლევს მოსამართლეებს საშუალებას, ფაქტის ან წყაროს თავისებურებიდან გამომდინარე, proprio motu გადაწყვეტილებით ან მხარეთა შუამდგომლობით, დამტკიცებულად მიიჩნიოს კონკრეტული ფაქტი. პრეიუდიცია არის გამონაკლისი გეპრობის პრინციპიდან (principle of immediacy), რადგან მოსამართლის მიერ ღია სასამართლო სხდომაზე არ ხდება მტკიცებულების შინაარსის მხარეთათვის გაცნობა და ინფორმაცია ავტომატურად იძენს ფორმალურ-მტკიცებულებით ხასიათს.³⁵ ამ საშუალების გამოყენება უმეტესად ანგლოსაქსური ტიპის სამართალწარმოების ფარგლებში ხდება. საინტერესოა ინგლისის, როგორც ანგლო საქსური სამართლის ფუძემდებელი და წამყვანი ქვეყნის მიდგომა პრეიუდიციასთან დაკავშირებით. დიდ ბრიტანეთში უზენაეს მართლმსაჯულებას ახორციელებს პარლამენტის ზედა პალატა, ანუ ლორდთა პალატა (House of Lords). მისი, როგორც უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებები აუცილებელია ყველა ინგლისური სასამართლოსთვის. XX საუკუნის შუა პერიოდამდე ლორდთა პალატა თვითონაც იყო შებოჭილი თავისივე მიღებული გადაწყვეტილებებით, თუმცა ლორდ-კანცლერის 1966 წლის 26 ივლისის დეკლარაციის შემდეგ, ლორდთა პალატას შეუძლია გადაუხვიოს ადრინდელ გადაწყვეტილებებს. სააპელაციო სასამართლის წარმოადგენს Court of Appeal. მისი გადაწყვეტილებები სავალდებულოა ყველა ქვემდგომი სასამართლოსთვის. სამოქალაქო საქმეებზე სააპელაციო სასამართლო შებოჭილია თავისი წინანდელი გადაწყვეტილებებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს გადაწყვეტილებები ეწინააღმდეგება ლორდთა პალატის ახალ გადაწყვეტილებებს. პირველი ინსტანციის სასამართლოს წარმოადგენს Crown Court. მის გადაწყვეტილებებს მხოჭავი ხასიათი არ აქვთ. ისინი სამართლის წყაროებს არც წარმოადგენენ და არც ქვეყნდებიან. როგორც დიდი ბრიტანეთის სამართლებრივი სისტემის ანალიზიდან წარმოჩინდება, პრეიუდიცია ამ ქვეყნის სასამართლო სისტემისთვის არის კონკრეტული

³⁴ https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-ვიკიპედია, ანგლო-ამერიკული სამართლის განმარტება. ბოლოს ნანახი-11.07.2019.

³⁵ E. O'Sullivan, 'Judicial Notice', Richard May and others (Eds.), Essays on ICTY Procedure and Evidence: In Honour of Gabrielle Kirk McDonald (Kluwer Law International, 2001), 331.

გადაწყვეტილება და არა ვთქვათ რაიმე ფაქტი. გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა ზემდგომი სასამართლოს მიერ, მხოლოდ ხასიათს ატარებს და მას გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად (მაგალითად) იღებენ შემდგომ განხილვებზე. სამოსამართლო სამართალი საქართველოს კონსტიტუციის თანახმად არ არის ჩვენს ქვეყანაში სამართლის წყარო. თუმცა გარკვეული დოზით იგი გვხვდება როგორც კონტინენტური, ისე ანგლო-საქსური სამართლის ქვეყნებში.

იურიდიულ პრაქტიკაში გადაწყვეტილებებს ხშირად ღებულობენ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ განვითარებული სამართლებრივი პრინციპების საფუძველზე. მას იყენებენ მიღებული გადაწყვეტილების არგუმენტაციის პროცესში. სასამართლო პრაქტიკა ამ შემთხვევაში გარკვეულად ასრულებს დამხმარე ფუნქციას, შემეცნებითი და ინფორმაციული ხასიათის მატარებელია. ფორმალურად იგი არ არის გამოყენებული, მხოლოდ არგუმენტად, მტკიცების პროცესში. უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოებს აქვთ ფაქტობრივი ბოჭვის ძალა. სასამართლო პრაქტიკა სწორედ ამ გადაწყვეტილებებზეა ორიენტირებული. გარდა ამისა, პრეიუდიციებს მინიჭებული აქვთ ნორმატიული ხასიათი. სასამართლოს ყოველთვის შეუძლია პრეიუდიციას გადაუხვიოს, მაგრამ აუცილებლად უნდა დაასაბუთოს ამ გადახვევის მართლზომიერება. უნდა დაასაბუთოს თუ რატომ გადაუხვია აღნიშნულ პრეიუდიციას. ეს ყველაფერი სამოსამართლო სამართლის, როგორც სამართლის წყაროსთან მიმართებაში, პრეიუდიციის გამოყენებასთან დაკავშირებით არის რეგულირებული.

თავი V

შეჯიბრებითობის პრინციპი მტკიცებულების პრეიუდიციალ აღიარების დროს

5.1 მხარეთა როლი მტკიცებულების პრეიუდიციალ აღიარების პროცესში

შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები თავად იღებენ გადაწყვეტილებას სასამართლოში წარსადგენი ანუ იმ მტკიცებულების შესახებ. ამგვარად, თავად განსაზღვრავენ წაყენებული ბრალდების იმ ასპექტებს, რომელთა გარშემოც აპირებენ საკუთარი პოზიციის ფორმირებას. გარკვეულ შემთხვევებში მხარეები შესაძლოა შეთანხმდნენ კიდევ მტკიცებულების ფარგლებში რაიმე მომენტზე, თუმცა სხვა შემთხვევასთან მიმართებაში შესაძლოა სხვადასხვა აზრზე დარჩნენ და მყარად ამტკიცონ საკუთარი პოზიციები. მაგალითად, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ დანაშაულის ჩადენის დროს ბრალდებული ნამდვილად იმყოფებოდა ბანკში, მაგრამ იდავებენ ბანკში ყოფნის მიზეზის ნაწილში. შესაძლებელია ბრალდების მხარე თვლიდეს, რომ ბრალდებულის იქ ყოფნა განპირობებულია თავდასხმაში მონაწილეობით, მაგრამ სსსკ ითვალისწინებს მარეების მიერ მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებისთვის და არა მტკიცებულებისათვის პრეიუდიციული მნიშვნელობის მინიჭებას. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ 72-ე მუხლის თანახმად სამართალწარმოებაში დაიშვება ასიმეტრიული გადახრა დაცვის მხარის სასარგებლოდ, დაუშვებელ მტკიცებულებას პრეიუდიციული მნიშვნელობა ვერ მიენიჭება.³⁶ ასეთ შემთხვევებში, უნდა აღინიშნოს, რომ მხარეების დისკრეცია უფრო მეტად იზრდება და შეუძლიათ მტკიცებულებითი მნიშვნელობა მიანოჭონ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით მოპოვებულ ფაქტობრივ გარემოებას. ამიტომაც, საქმისმწარმოებელი ყველა პირისა და ორგანოს ვალდებულებაა ყოველგვარი ზედმეტი შემონახვის, შეფასების გარეშე მიიჩნიოს დადასტურებულად კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი ცნობილი გარემოებები, თუ პროცესის არც ერთი მონაწილე მათ საეჭოდ არ მიიჩნევს, მაგრამ წინარე განაჩენს არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ბრალდებულის ბრალეულობის საკითხი თუ ის აღნიშნულ სამართალწარმოებაში იმავე ფაქტთან დაკავშირებით არ მონაწილეობდა ბრალდებულის სახით და არ ჰქონდა დაცვის განხორციელების შესაძლებლობა, ასევე პრეიუდიციული ძალის მატარებელი არ იქნება გარემოებები, რომელთა სარწმუნოობა სასამართლოს ეჭვს იწვევს. სსსკ-ის 73 მუხლში მოაზრებული შეჯიბრებითობის პრინციპის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს ის

³⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2005წ. გვ 253)

ფაქტი, რომ მხარეებმა შუამდგომლობით უნდა დაასაბუთონ ამა თუ იმ ფაქტის პრეიუდიციულობის ხარისხი, ეს ნიშნავს იმას, რომ სასამართლო უნდა დარწმუნდეს წარდგენილი მტკიცებულების, ფაქტობრივი გარემოების კანონიერებაში, ამისი მტკიცების ტვირთი კი ენიჭებათ მხარეებს, რომლებიც იყენებენ ყოველგვარ მატერიალურ თუ გონებრივ რესურსს, რათა თავიანთი პოზიცია იქნეს სწორად გაგებული სასამართლოზე, საუკეთესოდ წარმოჩინებული სამართლებრივ კონტექსტში და საბოლოოდ მომგებიანი მათთვის.³⁷

სსსკ ასხვავებს პრეიუდიციული ფაქტის უარყოფის და პრეიუდიციული ფაქტის გამოყენებაზე უარის თქმის ინსტიტუტს. აქტის უარყოფის უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს, მაგრამ მხოლოდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. შესაბამისად, თუ პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტობრივი გარემოება სასამართლოსთვის არის ეჭვის საგანი, ეჭვის გაქარწყლება არის შუამდგომლობის ავტორი მხარის პრეროგატივა. მხარეებს დასკვნითი სიტყვის წარმოდგენის დროს მხოლოდ გამოკვლეული მტკიცებულებების მითითების და დამოწმების უფლება აქვთ. სასამართლოს კი განაჩენში მხოლოდ გამოკვლეული მტკიცებულების გამოყენება შეუძლია. დამატებითი შეზღუდვა არის დაწესებული სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, სადაც პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული ყველა მტკიცებულება მიიღება დამტკიცებულად, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისებისა.

სასამართლოს არ შეუძლია საკუთარი ინიციატივით უარყოს ნებისმიერი მტკიცებულება ან ფაქტობრივი გარემოება. აღნიშნული განმარტება მხარეებს ძალიან ფართო არეალს უტოვებს ფაქტის, როგორც გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიღების პროცესში. მათ შეთანხმების საფუძველზე შეიძლება ნებისმიერი ფაქტობრივი გარემოება გახადონ უდავოდ და სასამართლოს ეჭვის დასაბუთებულობის ხარისხის მიუხედავად აღარ დარჩეს გზა უარყოს აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება, მაგრამ 73-ე მუხლის პირველი ნაწილის 'გ' ქვეპუნქტის საფუძველზე, თუ სასამართლო საეჭვოდ მიიჩნევს სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, აღნიშნული გარემოების გამოყენება გამოკვლევის გარეშე არ დაიშვება.³⁸ მიუხედავად იმისა, რომ 1. მისი იურიდიული ძალის უარყოფა ფორმალურად არ განხორციელდება მხარის შუამდგომლობის არარსებობის გამო, და 2. მხარეები შესაძლებელია მხარს უჭერდნენ განაჩენით დადგენილი აღნიშნული გარემოების გამოკვლევის გარეშე გამოყენებას. 73-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის და 220-2 მუხლის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე მხარებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საქმეში არსებულ კონკრეტულ მტკიცებულებებზე, რომლებიც შემდგომში სადავო არ გახდება და სასამართლო განხილვისას

³⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

³⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2005წ. გვ.254

შემოიფარგლონ მხოლოდ იმ მტკიცებულებებზე დავით, რომელიც მათ შორის სადავოა.³⁹ პრაქტიკამ აჩვენა, რომ ბევრ შემთხვევაში დაკავშირებით მხარეების შუამდგომლობის შემდეგ საერთო სასამართლოები შესაძლო პოლიტიკური ნიშნით მოტივირებულ საქმეებში მრავლად იყენებდნენ პრეიუდიციას. აღნიშნული, რა თქმა უნდა, არ არის გამართლებული. საერთაშორისო სამართლის შესაბამისად უნდა ხდებოდეს მტკიცებულების გამოკვლევის გარეშე მიღება, საერთაშორისო სამართალი კი მიუთითებს, რომ მხარეებმა უნდა დაასაბუთონ და დაანახონ სასამართლოს თუ რატომ შეიძლება სასამართლომ უდავოდ მიიღოს ესა თუ ის მტკიცებულება.

პრეიუდიცია არ გამოიკვლევა მხარეთა მიერ, მაგრამ, ვინაიდან მათი გამოკვლევა არ არის აუცილებელი საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლით, მოსამართლეს შეუძლია მისი მითითება განაჩენში.⁴⁰ დამატებით აღსანიშნავია, რომ მხარეებს შეუძლიათ, პრეიუდიციები გამოიყენონ სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე, მათ შორის დასკვნითი სიტყვების წარმოდგენისას, მხოლოდ იმ პირობით, რომ პრეიუდიციალ მანამდე უნდა იყოს მიჩნეული ფაქტი.⁴¹ ზოგადად, მოქმედებს პრინციპი – non refert quid notum sit iudici, si notum non sit in forma iudicii, რომელიც გულისხმობს, რომ საქმის გარშემო ყველა დეტალი უნდა დამტკიცდეს, მხარეთა მიერ მოსამართლის ცოდნის მიუხედავად. ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი – notoria non indigent probatione, ანუ შემთხვევა, როდესაც საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შემდგომი მტკიცება გაუმართლებელია.⁴² ეს გულისხმობს მხარის კონკრეტული მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულებისგან გათავისუფლებას და არავითარ შემთხვევაში ბრალდებულის უფლების შეზღუდვას, მოახდინოს მტკიცებულების შეცვლა. საწინააღმდეგო შემთხვევაში მივიღებთ მდგომარეობას, როდესაც სამართლიანი სასამართლოს უფლება დაირღვევა. მეცნიერ ჰენრი ვიგმორის მოსაზრებით, პრეიუდიცია არის იგივე მტკიცებულება და მხარეებმა უნდა წარმოადგინონ საწინააღმდეგო ინფორმაცია მის შესაცვლელად. ამის გათვალისწინებით, პრეიუდიცია არის მოსამართლის ხელში არსებული იარაღი, რომელსაც იგი მხარეთა პოზიციის შესაბამისად იყენებს, ეს, რა თქმა უნდა, ყოველ

³⁹ მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში. 2016წ. გვ.26. ჩომახაშვილი, თომაშვილი, ძეგნიური და სხვები.

⁴⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლი-73, 25.05.2019ის მდგომარეობით.

⁴¹ „პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.“- გიორგი ბურჯანაძე. სტატიათა კრებული-ადამიანის უფლებების დაცვა, მიღწევები და გამოწვევები. (რედ. კონსტანტინე კორკელია-სტატიათა კრებული გიორგი) 2012წ. გვ.57.

⁴² Учение об уголовных доказательствах- Л.Е. Владимиров, Тула, 2000, 175–179.

კონკრეტულ შემთხვევაში ხდება ინდივიდუალურად, თუ როგორ ნებას გამოხატავენ მხარეები კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ მხარეთა მონაწილეობა მტკიცებულებათა წარმოდგენის პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპით ხასიათდება. შეჯიბრებითობის პრინციპი პირდაპირ კავშირშია მტკიცებულების პრეიუდიციალ აღიარებასთან, ამიტომაც მხარეთა ამგვარი “პაექრობისას” დაცული უნდა იქნეს სამართლიანი სასამართლოს ყოველგვარი გამოვლინება. პირველ რიგში, ორივე მხარეს, როგორც ბრალდებას, ასევე დაცვას, უნდა გააჩნდეთ თანაბარი შესაძლებლობა, რაც გულისხმობს იმას, რომ დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს უფლება, გაეცნოს მის წინააღმდეგ წარდგენილ ბრალდებას იმ გაგებით, რომ მისთვის ხელმისაწვდომი იყოს ყველა ის მტკიცებულება, რომელთა გამოყენებასაც სასამართლო აპირებს საქმის გადანწყვეტისას და, ასევე შესაძლებლობას, მოახდინოს მათი გაბათილება საწინააღმდეგო არგუმენტაციის წარდგენით. მტკიცებულებებთან დაკავშირებით წარმოდგენილი ეს მსჯელობა სრულად ვრცელდება პრეიუდიციასთან დაკავშირებით მხარეთა უფლებებთან მიმართებაშიც.

საინტერესოა რა ფორმით ახდენენ მხარეები შეთანხმებას კონკრეტულ ფაქტებზე? ამ კითხვაზე პასუხი სისხლის სამართლის პროცესის 220-ე მუხლის (გ) ქვეპუნქტშია. რომლის თანახმადაც, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე საქმის არსებითი განხილვისთვის ამზადებს მხარეებს, ამტკიცებს მათ მიერ წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხას, ასევე მათგან მიღებულ იმ მტკიცებულებათა ჩამონათვალს, რომლებსაც მხარეები სადავოდ არ ხდიან. ეს ნიშნავს, რომ კონკრეტულ ფაქტზე შეთანხმების შემდეგ მხარეებს აღარ შეუძლიათ იდავონ შეთანხმებით განსაზღვრულ ფაქტებსა და გარემოებებზე. შესაბამისად, დაცვის მხარე განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს წინასასამართლო სხდომას და წარმოადგინოს თავისი პოზიცია სისხლის სამართლის კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებით.⁴³

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არაფერს ამბობს მხარეების მიერ პრეიუდიციის გამოყენების მასშტაბის ზღვარზე, რაც, მიმაჩნია, რომ არის საკმაოდ ბუნდოვანი ასპექტი ჩვენი კანონმდებლობისთვის. საბოლოო კრიტერიუმი, რომელიც პრეიუდიციის მიმართ სამართლიანი განხილვის პოზიციიდანაა შესაბამისი, არის პროცესის სტადიის შეზღუდვა. ბრალდების მხარეს მხოლოდ იმ ეტაპამდე უნდა მიეცეს პრეიუდიციის წარმოდგენის შესაძლებლობა, ვიდრე სამართლიანი განხილვის უფლების უზრუნველყოფა იქნება შესაძლებელი და დაცვის მხარეს ადეკვატური დაცვის

⁴³ სახელმძღვანელო „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გაძლიერებული ტრენინგისათვის“. 2012წ. გვ41.

შესაძლებლობა მიეცემა. მაგალითად, ICTR-ის პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც სასამართლომ პრეიუდიციად მიიღო ფაქტი განაჩენის გამოტანის ეტაპზე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით შეიძლება წარმოიშვას შემთხვევა, როდესაც ბრალდების მხარე პრეიუდიციის წარმოდგენას მოახდენს სასამართლო განხილვის დასრულებამდე, მხარეთა დასკვნითი სიტყვების მოსმენამდე (შესაბამისად, დაცვის მხარეს შემჭიდროებულ ვადებში მოუწევს შედავების უზრუნველყოფა და შეიძლება დაცვის სტრატეგიის ცვლილების აუცილებლობაც დადგეს). ამგვარი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია შესაბამისი შემზღუდველი დებულების შემოტანა კოდექსში, რომლებიც დროითი ელემენტით შემოსაზღვრავდა პრეიუდიციის გამოყენებას. ამგვარი აკრძალვა შეიძლება სასამართლოს განმარტების გზითაც იქნეს ინკორპორირებული ადამიანის უფლებათა სამართლისათვის პირდაპირი მოქმედების ძალის მინიჭების შემთხვევაში, მაგრამ, ზოგადად, ამგვარი პრაქტიკის ნაკლებობა აშკარად მიუთითებს სხვა ღონისძიების აუცილებლობაზე.⁴⁴

მიუხედავად სისხლის სამართლის მონაწილე მხარეთა ასეთი დიდი როლისა მტკიცებულების პრეიუდიციად აღიარების პროცესში, უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლის შინაგანი რწმენა და მისი შეფასება კონკრეტული მტკიცებულების მიმართ, უმნიშვნელოვანესია. მხარეების ინიციატივით, სასამართლოს ეძლევა შესაძლებლობა უარყოს პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ეს დათქმა ძალიან საინტერესოა რადგანაც მხარეები არ უნდა იქნენ სასამართლო პროცესზე შებოჭილი პრეიუდიციის ძალით, მარტივად რომ ვთქვათ, მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა პრეიუდიციული მტკიცებულების მიღმაც კი ამტკიცონ თავიანთი სიმართლე, არ მოექცნენ მისი გავლენის ქვეშ, რადგანაც ყველა სისხლისსამართლებრივი დავა ინდივიდუალურია და ის მტკიცებულებაც შეიძლება დაინახოს განსხვავებულ კონტექსტში, რომელიც მოსამართლემ ერთხელ უკვე მიიღო გამოკვლევის გარეშე. ერთი შეხედვით, პრეიუდიცია, არსობრივად, არ არის ცენტრალური და ყოველდღიურად აქტუალური ინსტიტუტი, რომელიც ყოველდღიურობაში ხშირად გვხვდება და მრავალ გადაუჭრელ პრობლემას გვისახავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პრეიუდიცია ძალიან დიდ გავლენას ახდენს მტკიცების პროცესში. ამიტომაც, აუცილებელია, რომ მას სათანადო მნიშვნელობა მივანიჭოთ. შესაბამისად, მისი როლის დაკნინება და სათანადო გამოუკვლევლობა დაუშვებელია.

⁴⁴ . „პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.“- გიორგი ბურჯანაძე. სტატიატა კრებული-ადამიანის უფლებების დაცვა, მიღწევები და გამოწვევები. (რედ. კონსტანტინე კორკელია-სტატიათა კრებული გიორგი) 2012წ. გვ.63-64.

5.2 პრეიუდიციის უარყოფა და პრეიუდიციული ფაქტის გამოყენებაზე უარის თქმა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ასხვავებს პრეიუდიციული ფაქტის უარყოფის და პრეიუდიციული ფაქტის გამოყენებაზე უარის თქმის ინსტიტუტს. ზოგადად, შეცილების ანუ ბრალდების უარყოფის გარანტია ორი ელემენტისგან შედგება. პირველი დაკავშირებულია უდანაშაულობის პრეზუმფციასთან და მოიცავს გარანტიას, რომ მთლიანი საქმე იქნეს ბრალდებულის მიერ უარყოფილი; ხოლო მეორე უფრო სპეციფიკურია და გულისხმობს კონკრეტული მტკიცებულების უარყოფის გარანტიას.⁴⁵ ორივე შემთხვევაში პრეიუდიციასთან მიმართებაში გარანტია შესაბამისია, რადგანაც ამ უკანასკნელს მტკიცებულებითი ხასიათი აქვს და შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც ბრალდებას იცავს ამ ადასტურებს. თუკი პრეიუდიციის შეცილება შეუძლებელი იქნება, ავტომატურად დაირღვევა სამართლიანი განხილვის უფლება. ზოგადად, მოქმედებს პრინციპი – non refert quid notum sit iudici, si notum non sit in forma iudicii, რომელიც გულისხმობს, რომ საქმის გარშემო ყველა დეტალი უნდა დამტკიცდეს, მხარეთა მიერ მოსამართლის ცოდნის მიუხედავად. ⁴⁶ მსოფლიოში არსებობს ისეთი სამართლებრივი წესრიგები, რომელიც პრეიუდიციებს ანიჭებენ სამუდამო ხასიათს და არ აძლევენ მხარეებს შეცილების შესაძლებლობას. ⁴⁷ რაც განპირობებულია, ძირითადად, პრეიუდიციის შინაარსით, რადგანაც, უმეტესად, ასეთ შემთხვევებში მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები მიიღება მხედველობაში. ზოგიერთი მოსაზრებით, ეს ეწინააღმდეგება პრეიუდიციის არსს – დაჩქარებულ სამართალწარმოებას.⁴⁸ ასევე რამდენიმე ავტორი პრეიუდიციის უარყოფის შესაძლებლობის დაწესების შემთხვევაში

⁴⁶ J. B. Thayer, 'Judicial Notice and the Law of Evidence', (1890) Vol III, No 7, Harvard Law Review, 286.

⁴⁷ 7 G. Weissenberger, Federal Rules of Evidence – Rules, Legislative History, Commentary and Authority (Anderson Publishing Co, 1999), 43-4.

⁴⁸ კონსტანტინე კუბლაშვილი- საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, გამომცემლობა „მერიდიანი“, გვ 34. 2005.თბილისი.

აიგივებს მას მტკიცებითი სამართლის ინსტიტუტთან პრეზუმფციასთან. 73-ე მუხლის საფუძველზე, ნებისმიერი პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტის უარყოფის უფლება ენიჭება მხოლოდ სასამართლოს, მაგრამ მხოლოდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე.⁴⁹ შესაბამისად, თუ პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტობრივი გარემოების კანონიერება სასამართლოს ეჭვს იწვევს, ეჭვის დასაბუთებულობის ხარისხის მიუხედავად, სასამართლოს არ შეუძლია საკუთარი ინიციატივით აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების უარყოფა. მაგრამ 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თუ სასამართლო საეჭვოდ მიიჩნევს სხვა სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, აღნიშნული გარემოების გამოყენება გამოკვლევის გარეშე არ დაიშვება, მიუხედავად იმისა, რომ: ა) მისი იურიდიული ძალის უარყოფა ფორმალურად არ განხორციელდება მხარის შუამდგომლობის არარსებობის გამო, და ბ) მხარეები შესაძლებელია მხარს უჭერდნენ განაჩენით დადგენილი აღნიშნული გარემოების გამოკვლევის გარეშე გამოყენებას⁵⁰. ყოველი განხილვა მონშობს იმას, რომ პრეიუდიციის უარყოფა აუცილებელია და სამართლიანი განხილვის ძალიან საჭირო ელემენტია. ჰენრი ვიგმორი არის პრეიუდიციის უარყოფის ყველაზე ცნობილი და გამორჩეული მხარდამჭერი. მისი მოსაზრება დამყარებულია იმ ფაქტზე, რომ პრეიუდიცია არის იგივე მტკიცებულება და მხარეებმა უნდა წარმოადგინონ სანაწინააღმდეგო ინფორმაცია მის შესაძლებლად. მის მიერ წარმოდგენილ იქნა უამრავი მაგალითი, როდესაც სასამართლოთა მიერ მოხდა პრეიუდიციის უარყოფა მონაწილემდე მხარის მიერ მტკიცებულების წარმოდგენის შემდეგ; იგივე მოსაზრება აქვს წარმოდგენილი ჯეიმს ტაიერს, რომლის მიხედვით პრეიუდიცია ახდენს ფაქტის მხოლოდ *prima facie* მტკიცებას და იგი კვლავ დავის საგნად რჩება, თუ მეორე მხარე უარს არ იტყვის შეცვლაზე. ამ მოსაზრების მიხედვით, პრეიუდიცია არის მოსამართლის ხელში არსებული ინსტრუმენტული მექანიზმი, რომელსაც ის იყენებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა პოზიციის შესაბამისად. იურიდიული ლიტერატურა ამ მიმართებით მოსამართლის როლს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მან არ უნდა მოახდინოს შემაჯამებელი ხასიათის და შინაარსის პრეიუდიციის მიღება. ზოგიერთი ავტორი წარმოადგენს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როდესაც პრეიუდიცია უნდა იქნეს შეცვლილი:

⁴⁹ „პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძველები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.“- გიორგი ბურჯანაძე. სტატიატა კრებული-ადამიანის უფლებების დაცვა, მიღწევები და გამოწვევები. (რედ. კონსტანტინე კორკელია-სტატიატა კრებული გიორგი) 2012წ. გვ.65.

⁵⁰ „მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში“- ჩომახაშვილი, თომაშვილი, ძეგნიური და სხვები. 2016 წ. გვ.25-26

1. პრეიუდიციის გამოყენების უარყოფა – როდესაც მონინალმდევე მხარე წარმოადგენს მტკიცებულებებს, რომელთა მიხედვითაც დასტურდება, რომ, ფაქტობრივი ცვლილებების გამო, საერთოდ აღარ უნდა იქნას პრეიუდიცია გამოყენებული;
2. ე.წ. „ნაწილობრივი პრეიუდიციის“ შემთხვევა – როდესაც მიუხედავად პრეიუდიციის სანდოობისა მისი კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში გამოყენება დაუშვებლად არის მიჩნეული, შეუსაბამობის გამო;
3. ე.წ. „პრეიუდიციის წინასწარი გამოყენების შემთხვევა“ – ამ შემთხვევაში პრეიუდიციის გამოყენება ხდება მხარისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების გარეშე და შემდგომ წარმოჩნდება მეორე მხარის მზაობა, მოახდინოს ფაქტის შეცვლა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1998 წლის რედაქციის 113-ე მუხლის მე-3 ნაწილის ჩანაწერში გვხვდებოდა, რომ „პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტი შეიძლება უარყოს მხარემ, სასამართლოს განაჩენმა, სხვა შემაჯამებელმა გადანწყვეტილებამ ან დადგენილებამ, თუ ეს ფაქტი ეწინააღმდეგება სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებსა და მოსამართლეთა შინაგან რწმენას.“ ამგვარი მიდგომა ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში აღარ გვხვდება . თვალმისაცემია ძველი კოდექსის ბოლო წინადადება, „მოსამართლეთა შინაგანმა რწმენამ“ ეს მიუთითებს, თუ რაოდენ შეიზღუდა მოსამართლეთა შესაძლებლობა პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტის უარყოფის საკითხში. მოსამართლეებს შეეძლოთ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, შინაგანი რწმენის საფუძველზე უარი ეთქვათ პრეიუდიციულად დადგენილ ფაქტზე. პრეიუდიციის მნიშვნელობა უფრო და უფრო გაიზარდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, შეიზღუდა მისი გამოყენების საზღვრები და მასზე უარის თქმის შესაძლებლობა უფრო და უფრო ნაკლებად შესაძლებელი გახდა. თითქოს ბუნდოვანი მხარეც უფრო მეტად ნათელი გახდა , თუმცა უნდა ითქვას, რომ დღევანდელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც ძალიან ბევრ დაუზუსტებელ დათქმას შეიცავს და არაერთგვაროვან მიდგომას იწვევს.

პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვა

6.1 პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოს კანონმდებლობაში;

პრეიუდიცია, როგორც სამართლის ერთ-ერთი ინსტიტუტი, გვხვდება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის კოდექსშიც, თუმცა თანამედროვე სახე ამ ინსტიტუტისა განსხვავებულია. ეს ცვლილებები არის როგორც მატერიალური, ასევე პროცესუალური ხასიათის. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2010 წლის კვლევით დაფიქსირდა, რომ საქართველოს საერთო სასამართლოები პოლიტიკური ნიშნით იყენებდნენ პრეიუდიციას გარკვეულ საქმეებში. ამ თემას შეეხო საქართველოს სახალხო დამცველის მიმართავაც, რომელიც „სასამართლოს მეგობრის“ მოსაზრებით იყო წარმოდგენილი.⁵¹ 2011 წლის 28 ივლისის მოსაზრებით, სახალხო დამცველი თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართავდა რეკომენდაციით, რათა მათ მოეხდინათ ადამიანის უფლებათა სტანდარტების გამოყენება, როდესაც საქმე ეხებოდა პრეიუდიციის, როგორც გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიღების შემთხვევას. სახალხო დამცველმა მოიშველია რეალური სისხლის სამართლის საქმე, როდესაც ყოველგვარი საფუძვლისა და წინაპირობის გარეშე ხდება პრეიუდიციის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ პრეიუდიციის გამოყენებისას, დაცული უნდა იყოს საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსი.⁵² საქართველოს სახალხო დამცველის „სასამართლო მეგობრის მოსაზრება“ ეხებოდა შემთხვევას „კონკრეტული საქმეში სამ პირს ედებოდა ბრალად შესაბამისი დანაშაულის ჩადენა. ორი ბრალდებულის მიმართ საქმე ცალკე სამართალწარმოებად მიმდინარეობდა და მესამის სისხლის სამართლის საქმე გამოყოფილი იყო. ძირითად საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი და იგი მესამე ბრალდებულის საქმეში მტკიცებულებად იქნა გამოყენებული მაშინ, როცა სააპელაციო წესით ხდებოდა პირველი საქმის განხილვა. ამგვარი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობაში აკრძალვის დადგენა, როგორც ეს გაეროს საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალების პრაქტიკაშია.

⁵¹ საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის 28 ივლისის „სასამართლოს მეგობრის“ (Amicus Curiae) მოსაზრება, N2983/04-8/0091-11/1.

⁵² UN General Assembly, “Comprehensive Report on the Results of the Implementation of the Recommendations of the Expert Group to Conduct a Review of the Effective Operation and Functioning of the International Tribunal for the Former Yugoslavia and the International Criminal Tribunal for Rwanda,” A/56/853, Recommendation 11.
<https://www.un.org/ga/acabq/documents?session%5B%5D=57&year%5Bvalue%5D%5B%5D=all&type%5Breport%5D=report>

ამის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ მეტი კონტროლი და ანალიზი სჭირდება პრეიუდიციის გამოყენების ყოველ კონკრეტულ შემთხვევას სისხლის სამართლის პროცესში. აუცილებელია, რომ აღნიშნული ინსტიტუტი მკვეთრად მივესადაგოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რადგანაც არ მოხდეს ყოველ ჯერზე არამართლობიერად მისი გამოყენება. პოლიტიკური ნიშნით ძალიან ხელსაყრელი იყო გარკვეული პერიოდების განმავლობაში ყოველი მტკიცებულების მიღება გამოკვლევის გარეშე, რადგანაც ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ფონი უწყობდა ამ სამართლებრივი ინსტიტუტის მსგავს გამოყენებას ხელს. ის ფაქტი, რომ მხოლოდ მხარეთა ინიციატივით არის შესაძლებელი პრეიუდიციის გამოყენება ძალიან დიდ სამოქმედო არეალს აძლევს პროცესის მონაწილეებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ფორმულირებული 73-ე მუხლი თავის თავში მოიცავს ე.წ. „შეთანხმებულ გარემოებებსაც (stipulation), რომელიც ნაპრომის ფარგლებში არ იქნება განხილული ჩინით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაც გარკვეულწილად ერთსა და იმავე შემთხვევას აწესრიგებენ. „გ“ ქვეპუნქტი ეხება ცალკე აღებულ ფაქტს, ხოლო „ბ“ მის იურიდიულ შეფასებას. შესაბამისად, ანალიზის საგანი იქნება მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი პრეიუდიციული ხასიათი. განაჩენი ნასამართლობაზე და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განასისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მოსამართლე დამოუკიდებლად ვერ მოიპოვებს მტკიცებულებებს. აღსანიშნავია, რომ მოპოვება მოიცავს მტკიცებულების პრეიუდიციად აღიარების შემთხვევასაც.⁵³ პრეიუდიციის მიმართ არსებობს სარწმუნოების ზოგადი სტანდარტი, ამიტომაც მოსამართლე ყოველგვარი აქტიური მოქმედების გარეშე იღებს მას და მიიჩნევს სარწმუნოდ. ამიტომაც აუცილებელია, რომ არსებობდეს ქართულ კანონმდებლობაში, პრეიუდიციის გამოყენებაზე შეზღუდვები, რათა არ იქნეს არაგონივრულად გამოყენებული ყოველ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე.

⁵³ . „პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.“- გიორგი ბურჯანაძე. სტატიატა კრებული-ადამიანის უფლებების დაცვა, მიღწევები და გამოწვევები. (რედ. კონსტანტინე კორკელია-სტატიათა კრებული გიორგი) 2012წ. გვ.56

6.2 ადამიანის უფლებათა სასამართლოს შეზღუდვა პრეიუდიციის გამოყენებაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იცნობს პრეიუდიციას, როგორც მტკიცებულების ერთ-ერთ სახეს. მისი გამოყენების პრაქტიკული შეზღუდვა და სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა სწორედ აქედან მოდის. ძალიან მკაცრად არის განხილული მისი გამოყენების შესაძლებლობები სხვადასხვა საქმესთან მიმართებაში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მოთხოვნა გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიღების პროცესში ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოებისა არის ის, რომ აუცილებლად დაცული იყოს საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსი. აუცილებელია, რომ ფაქტის პრეიუდიციული ფაქტის ასეთად აღიარების და მისი შეფასებისა და სიღრმეებში გარკვევის გარეშე მიღების პროცესში, მოსამართლემ სწორად შეაფასოს ფაქტობრივი გარემოება რამდენად შესაძლებელია და კანონიერია, რომ მიჩნეული იქნეს პრეიუდიციად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თანაბარი შესაძლებლობის გარანტიას განიხილავს როგორც დაცვის მხარის უფლებას, მოახდინოს საკუთარი პოზიციის წარდგენა იმგვარად, რომ არ დაირღვეს თანაფარდობა მონინალმდეგე მხარესთან შედარებით ფუნდამენტურ დონეზე.⁵⁴ შეჯიბრებითობა კი განიხილება ბრალდებულის უფლებად, მოახდინოს მის მამხილებელ მტკიცებულებათა შედავება და კომენტირება.⁵⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით: „უნდა შემონმდეს, კონკრეტულად მიეცა თუ არა განმცხადებელს შესაძლებლობა, მოეხდინა მტკიცებულებათა ავთენტიკურობისა და მისი გამოყენების შედავების შანსი. დამატებით, მტკიცებულებათა ხარისხი უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, მათ შორის ის გარემოებები, რომლებიც ქმნიან მისი სანდოობის და სიმუსტის ეჭვებს. სამართლიანობის პრობლემა ავტომატურად არ წარმოიშობა, როდესაც მტკიცებულება არ არის გამყარებული სხვა ინფორმაციით, რადგან ამ დროს შეიძლება აღინიშნოს, რომ მტკიცებულება არის ძალიან მყარი და მისი უნდობლობის რისკი არასარწმუნოა, შესაბამისად, დამატებითი წარმოდგენის ვალდებულება მცირდება.“⁵⁶ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანოები ყოველთვის ცდილობენ, მინიმალურად

⁵⁴ Inter alia, დომბო ბეჰერი ნიდერლანდის წინააღმდეგ (Dombo Beheer B.V. v. the Netherlands), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 27 ოქტომბრის განჩინება, მე-19 პუნქტი. <https://www.legal-tools.org/en/browse/record/b575c2/8>

⁵⁵ R. C. A. White, C. Ovey, Jacobs, White, and Ovey The European Convention on Human Rights (5th ed., OUP, 2010), 261.

⁵⁶ იარემენკო უკრაინის წინააღმდეგ (Yaremenko v. Ukraine), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, 76-ე პუნქტი. <http://hudoc.echr.coe.int/app/conversion/pdf/?library=ECHR&id=001-154022&filename=001-154022.pdf&TID=ihgdqbxnfi>

დაარეგულირონ მტკიცებულებასთან დაკავშირებული საკითხები. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა სტანდარტების დარღვევა მხოლოდ მაშინ დგინდება, თუკი მტკიცებულებები და მათი გამოკვლევა გავლენას ახდენენ შეჯიბრებითობაზე და მხარეთა თანაბარი შესაძლებლობის გარანტიებზე. როგორც ზემოაღნიშნული Yaremenko-ს საქმიდან ჩანს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყოველთვის ცდილობს დაცული იყოს პროცესზე მხარეთა შეჯიბრებითობის უფლება. ძირითადი და მკაფიო ყურადღება ეთმობა ბრალდებულის უფლებას, მოახდინოს შედაგება მოწინააღმდეგის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების წარმომავლობასა და მის ავთენტიკურობაზე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მიხედვით, მხოლოდ ავთენტიკურად დადასტურებული მტკიცებულების დაშვებაა შესაძლებელი პროცესზე. ეს მოთხოვნა ვრცელდება, რა თქმა უნდა, პრეიუდიციაზეც. მის მიმართ დადგენილი ავთენტიკურობის კრიტერიუმი გულისხმობს მხარის მიერ შესაბამისი და კანონიერი დოკუმენტაციის წარდგენას სასამართლოს წინაშე, როდესაც კანონიერ ძალაში შესული განაჩენით განსაზღვრული ფაქტობრივი გარემოების დადგენა ხდება. საზოგადოდ ცნობილი ფაქტების მიმართაც შეიძლება გავრცელდეს ავთენტიკურობის მოთხოვნა, როდესაც მითითება ხდება მეცნიერულ წყაროზე ან სხვა სახის ლიტერატურაზე.⁵⁷ თუმცა პრეიუდიციის ავთენტიკურობის დადგენისას არსებობს გარკვეული გამოკვეთილი დამატებითი მოთხოვნები, რომელიც გარკვეულ საორიენტაციო საფუძველს იძლევა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მხრიდან პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლების შესახებ და მისი სისტემატიზაციის საშუალებას იძლევა. ეს მოთხოვნებია :

სიზუსტე – სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მითითებისას „ორიგინალი“ ფაქტობრივი გარემოება უნდა იყოს მითითებული სახეცვლილების გარეშე.⁵⁸ მცირე სახის ან ტექნიკური სახის ცდომილება დასაშვებია, რაც *proprio motu* წესით სასამართლოს მიერაც შეიძლება იქნეს გამოსწორებული და აღმოფხვრილი.

კონტექსტუალური ელემენტი – სასამართლო განაჩენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამის ორიგინალ კონტექსტში, რადგან მის გარეშე კონკრეტული შინაარსი შეიძლება არაზუსტად ან მცდარად იქნეს გაგებული.⁵⁹

⁵⁷ . „პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.“- გიორგი ბურჯანაძე. სტატიათა კრებული-ადამიანის უფლებების დაცვა, მიღწევები და გამოწვევები. (რედ. კონსტანტინე კორკელია-სტატიათა კრებული გიორგი) 2012წ. გვ.59

⁵⁸ პროკურორი კრსტიჩის წინააღმდეგ (Prosecutor v. Krstic), ICTR, IT-98-33-T, განაჩენი, 2001 წლის 2 აგვისტო, მე-18 პუნქტი. <http://www.icty.org/x/cases/krstic/tjug/en/krs-tj010802e.pdf>

⁵⁹ პროკურორი კერემერას და სხვათა წინააღმდეგ (Prosecutor v. Keremera et al), ICTR, ICTR-98-44-AR73(C) ‘Decision on the Prosecution’s Interlocutory Appeal of Decision on Judicial Notice’, 2006 წლის 16

ფორმა – კონკრეტული ფაქტები უნდა იქნეს მითითებული საკმარისი სიცხადით განაჩენის შესაბამისი გვერდების, პუნქტების ან სხვა მაიდენტიფიცირებელი ნიშნების გამოყენებით, რათა მეორე მხარეს ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალება, წარმოადგინოს კონტრარგუმენტაცია.

ზემოაღნიშნული საფუძვლები არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული ICTY-ის და ICTR-ის სამართალწარმოების თარგვლებში, შესაბამისად ამ საფუძვლების გამოყენებლობა, მათი გვერდის ავლა ან უგულებელყოფა, პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ პრეიუდიციას სამართლებრივად ვერ გამოიყენებს ვერცერთი მხარე. აღნიშნული სწორედ საფუძველია პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვისა. თუკი რომელიმე ზემოთჩამოთვლილი ელემენტი არის დარღვეული, ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ უარი უნდა თქვას პრეიუდიციის გამოყენებაზე. პრეიუდიციის სარწმუნოების კიდევ ერთი დამატებითი კრიტერიუმი არის სასამართლოს განაჩენთა საბოლოობა. ეს საპროცესო აქტი აუცილებლად უნდა იყოს საბოლოო, ანუ *res judicata*, რაც გულისხმობს, რომ საქმე არ უნდა განიხილებოდეს აპელაციის ან კასაციის წესით, ჩვეულებრივი გასაჩივრების ყველა გზა უნდა იყოს ამოწურული ან/და შესაბამისი გასაჩივრების ვადები გასული.⁶⁰ პრეიუდიციის მასშტაბის ცნებას იცნობს საერთაშორისო სამართალი. აღნიშნული ნიშნავს, რომ პრეიუდიციის გამოყენება იკრძალება იმ შემთხვევაში, თუ მისი შინაარსი იმდენად დიდი ოდენობის ინფორმაციით არის დატვირთული, რომ შეუძლებელი ხდება სამართლიანი განხილვა აღნიშნული მტკიცებულების. ეს კი დაცვის მხარეს აზარალებს. მის მიმართ განსაკუთრებულ მოთხოვნებს აწესებს და დიდი ტვირთის მატარებელი ხდება. ბრალდების მხარეს მხოლოდ იმ ეტაპამდე უნდა მიეცეს პრეიუდიციის წარმოდგენის შესაძლებლობა, ვიდრე სამართლიანი განხილვის უფლების უზრუნველყოფა იქნება შესაძლებელი და დაცვის მხარეს ადეკვატური დაცვის შესაძლებლობა მიეცემა. აღნიშნული შეზღუდვების არსებობა არის გარანტი იმისა, რომ არსებობდეს მეტი კონტროლი პრეიუდიციის გამოყენებაზე. გამოკვლეულ იქნეს მისი გამოყენების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში მხარეთა შეჯიბრებითობაც მეტად იქნება დაცული.

ივნისი, 55-ე პუნქტი.

http://www.worldcourts.com/icty/eng/decisions/2006.06.16_Prosecutor_v_Karemera.pdf

⁶⁰ პროკურორი პოპოვიჩის და სხვათა წინააღმდეგ (*Prosecutor v. Popovic et al*), ICTY IT-05-88-T, 'Decision on Prosecution Motion for Judicial Notice of Adjudicated Facts', 2005 წლის 26 სექტემბერი, მე-14 პუნქტი. <https://www.refworld.org/pdfid/4c1f69fe2.pdf>

თავი VII

პრეიუდიციის გამოყენება პრაქტიკაში

პრაქტიკული თვალსაზრისით, ძალიან დიდ პრობლემასა და ბუნდოვანებას ვხვდებით სისხლის სამართლის პროცესით რეგულირებულ ნორმასა და მოსამართლეთა მოქმედებებს შორის, პრეიუდიციასთან დაკავშირებით. მაგალითად, 73-ე მუხლის მეორე ნაწილი ძალიან დიდ კითხვის ნიშანს სვამს თავისი შინაარსიდან გამომდინარე, რადგანაც მის შინაარსში ირკვევა, რომ სასამართლოს მხარის ინიციატივით, შეუძლია უარყოს პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტი, თუ ეს ფაქტი ეწინააღმდეგება სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებს. ამ შემთხვევაში ერთ მხარეს გვაქვს სასამართლოში შეფასებული მტკიცებულებები, ხოლო მეორე მხარეს გამოკვლევის გარეშე მიღებული მტკიცებულებები. თუმცა გაუგებარია რა კრიტერიუმით ხდება მისი შეპირისპირება პრეიუდიციულ მტკიცებულებებთან, რომელზეც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლი ცალსახად ამბობს, რომ მისი გამოკვლევა არ ხდება.

პრეიუდია, როგორც მტკიცებულება, რომელიც გამოკვლევის გარეშე მიიღება სასამართლო პროცესზე, რა თქმა უნდა ისეთივე ძალის მატარებელია პრაქტიკაში, როგორც ყველა სხვა გამოკვლევითი მტკიცებულება. სიღრმისეულად, როგორც წესი, ყველა მტკიცებულება გამოიკვლევა სასამართლო პროცესზე, მოსამართლის წინაშე იკითხებიან მონმეები, ნივთიერი მტკიცებულება თუ დოკუმენტი მოსამართლის შესწავლის საგანია და შინაარსობრივად ეცნობა ყველა საქმისთვის მნიშვნელოვან საკვლევ მასალას.

პრაქტიკაში, რეალურად, პრეიუდიციის არსი არის, რომ მტკიცებულების გამოკვლევა სასამართლო პროცესზე არ უნდა მოხდეს. მოსამართლე ვერ შეაფასებს მის შინაარსობრივ მხარეს, რადგანაც იგი არ ეცნობა იმ ინფორმაციას, რომელიც პრეიუდიციად აღიარებულ მტკიცებულებას სდევს თან. მოსამართლე უბრალოდ იღებს სასამართლო პროცესზე ფაქტს, რომელიც გამოძიების მასალებშია, და ეს მასალები ადასტურებენ ფაქტობრივ გარემოებებს. ამდენად, ძალიან დიდი პრობლემის წინაშეა მოსამართლე პრაქტიკაში, კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, როგორ უნდა შეაფასოს მან მტკიცებულების (რომელიც პრეიუდიციად არის მიჩნეული) შინაარსობრივი მხარე, როდესაც იგი შინაარსობრივად არ ეცნობს ამ ინფორმაციას და არც გამოკვლევითი აქვს ის.

პრობლემურია ასევე მეორე საკითხი, რომელიც მტკიცებულებათა შეპირისპირებას ეხება. რამდენად სწორია გამოკვლევითი, განხილული და ისეთი მტკიცებულების შეპირისპირება, რომელიც კითხვის ნიშანს არ ტოვებს სასამართლო განხილვის სტადიაზე

, ისეთ მტკიცებულებასთან რაც არ გამოკვლეულა. ამ შემთხვევაში თანაფარდობა არ არის დაცული პრაქტიკული თვალსაზრისით და წინააღმდეგობრივია. ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, არ არსებობს ნორმა, რომელიც რეალურად ამ დიდ დისბალანსს და შეუსაბამობას დაარეგულირებს, ამიტომაც პრაქტიკაში მოსამართლეები ხშირად მაინც შედიან გამოკვლევის გარეშე მიღებული მტკიცებულებების შინაარსობრივ მხარეში და მაინც ეცნობიან მას. ეს ხდება ძალიან მცირე დოზით, მაგრამ ფაქტია, რომ საკანონმდებლო ნორმის არარსებობის გამო, მაინც უხდება პრეიუდიციული ფაქტის შინაარსობრივი და სამართლებრივი მხარის შესწავლა.

პრეიუდიციული ფაქტების გამოკვლევის შესაძლებლობის არარსებობა მოსამართლეს უტოვებს ერთადერთ გზას სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს, რათა სასამართლომ დაადგინოს, რომ განხილვის გარეშე, ეს მტკიცებულებები ნამდვილად არსებობს და კანონიერია. ეს არის ბრალდების შესახებ დადგენილება, რომელიც ადასტურებს საქმესთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებს. მასში აღწერილია ქმედება და მითითებულია, რომ კონკრეტულმა დასახელებულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, რასაც ადასტურებს მასშივე მოყვანილი მტკიცებულებები. რაც არ უნდა გასაოცარი იყოს, სწორედ ეს ხდება ხშირ შემთხვევაში მოსამართლეებისთვის პრეიუდიციის შინაარსში შესვლის ერთ-ერთ საშუალებად.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევით, დადგინდა, რომ საქართველოს საერთო სასამართლოები პრაქტიკაში, ხშირად იყენებდნენ პრეიუდიციას, როგორც ინსტიტუტს, შესაძლო პოლიტიკური ნიშნით მოტივირებულ საქმეებში.⁶¹ სწორედ ამ კვლევას უკავშირდება „სასამართლოს მეგობრის“ სტატუსით სახალხო დამცველის მიმართვა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რათა გამოსწორებულიყო ეს პრობლემა და მსგავსი პრეცედენტი აღარ მომხდარიყო. ფაქტია, რომ პრაქტიკაში მსგავსი პრობლემების არსებობა პირდაპირ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და პრაქტიკას.⁶² მაშინ, როდესაც მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია თუ ქვეყანა მიუთითებს იმაზე, რომ მკაცრად დაეცივათ პრეიუდიციის გამოყენების წინაპირობები, პრეიუდიციის გამოყენება სურვილისამებრ და არაგონივრულად, რა თქმა უნდა არ არის გაეროს ადამიანის უფლებათა სასამართლოს ნორმათა დაცვის და საერთაშორისო ნორმების ჩვენს კანონმდებლობაში ინკორპორირების წინაპირობა. აუცილებელია დაცული იყოს საჯარო და კერძო ინტერესებს შორის

⁶¹ „სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები“-ე. ფოფხაძე, ე. ხუციშვილი, გ. ბურჯანაძე, -თბ., 2011. გვ.31

⁶² საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის 28 ივლისის „სასამართლოს მეგობრის“ (Amicus Curiae) მოსაზრება, N2983/04-8/0091-11/1. ბოლოს ნანახია 11.07.2019წ.

ბალანსი. ამისთვის კი აუცილებელია სასამართლოს გააზრებული ჰქონდეს, რომ საჯარო ინტერესი გაცილებით მაღლა დგას ვიდრე სხვა რომელიმე ინტერესი.

პრაქტიკული ანალიზიდან გამომდინარე, ნათელია ხდება, რომ ჩვენი კანონმდებლობა პრეიუდიციასთან მიმართებაში, ძალიან ბუნდოვანი და დაუზუსტებელია. ეს იკვეთება როგორც 73-ე მუხლის მე-2 ნაწილში, ასევე მთლიანად ნორმის ხასიათში. მოსამართლე შებოჭილია ამ უზუსტობით, იგი ვერ შედის სიღრმეებში მტკიცებულების გამოკვლევისას, შესაბამისად, პრეიუდიციულად აღიარებულ ფაქტს ყოველგვარი ინფორმაციულობის გარეშე აპირისპირებს გამოკვლეულ და შეფასებულ მტკიცებულებასთან. სწორედ აქედან გამომდინარეობს, რომ მოსამართლეებს ხშირად უწევთ კანონმდებლის იმ დათქმიდან გადახვევა, რასაც ფაქტის გამოკვლევის გარეშე მიღება ჰქვია მტკიცებულებად. ხშირად, სწორედ ამიტომ ეცნობიან ბრალდების შესახებ დადგენილებას და იძულებულნი არიან მაინც გაეცნონ პრეიუდიციის შინაარსს.

ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია კანონმდებელმა აღმოფხვრას ეს პრობლემა და ნორმას სახე უცვალოს, ან სხვაგვარი განმარტება მისცეს. ეს ცვლილება ძალიან ბევრ და დღეისთვის ბუნდოვან საკანონმდებლო და პრაქტიკულ ცდომილებას აღმოფხვრის. ეს კი შეჯიბრობითობის პრინციპის დაცვასთან პირდაპირ კავშირშია სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას.

8. დასკვნა

აღნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა ეხებოდა სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს მტკიცებულებათა თავიდან, ეს არის პრეიუდიცია, ანუ მტკიცებულება, რომელიც არ საჭიროებს გამოკვლევას პროცესზე. სისხლის სამართლის ამ კუთხით საპროცესო კოდექსის რეფორმა წინ გადადგმული ნაბიჯია ქართული მართლმსაჯულების და სისხლის სამართლის

კანონმდებლობის სრულყოფისთვის, თუმცა უნდა ითქვას, რომ კვლავ რჩება ხარვეზები, რომელიც მტკივნეული და რთული აღსაქმელია თეორიიდან და საკანონმდებლო ნორმებიდან პრაქტიკამდე. ჩემი ნაშრომის მიზანი იყო წარმომედგინა სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი ინსტიტუტის, პრეიუდიციის არსი, მისი მნიშვნელობა, მასთან დაკავშირებული ხარვეზები და საერთაშორისო სამართლის ჭრილში განმეხილა ეს არც თუ ისე უმნიშვნელო და ძალიან სპეციფიკური ინსტიტუტი. საინტერესო იყო მისი შესწავლა ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადმოსახედიდანაც. კვლევის შედეგად ნათლად წარმოჩნდა პრეიუდიციის რეგულირების ორი სახისპრობლემა – რეგულირების ნაკლებობა, რაც გამოიხატება საკანონმდებლო ბაზის სიმწირეში ამ მხრივ და ადამიანის უფლებათა სამართალთან წინააღმდეგობაში მყოფი ნორმები, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალით აღიარებულ ნორმებს.

მნიშვნელოვანია ის განსხვავებები და ურთიერთმიმართებები, რომლებიც დავინახე საკითხის შედარებითსამართლებრივი ანალიზის დროს. მსგავება და განსხვავება, რომელიც კონტინენტური სამართლისა და ანგლო-საქსური სამართლის ქვეყნებს შორის არსებობს. საინტერესოა ჩვენი ქვეყნის მდებარეობა ამ სამართლებრივი სისტემების ძალიან რთულ რუკაზე, პრეიუდიციასთან მიმართებით. ჩემი ნაშრომის მიზანი, მომეხდინა პრეიუდიციის ანალიზი, გარკვეულწილად პრობლემებთან იყო დაკავშირებული. ამისი მიზეზი არის ძალიან მწირი სამეცნიერო ნაშრომების არსებობა. არ არსებობს ერთიანი მიდგომები და პრაქტიკაც არ არის საკმარისი სისხლის სამართლის ამ ინსტიტუტის სრული სახის ანალიზისთვის. ძალიან მნიშვნელოვანია მხარეთა როლი მტკიცებულებათა პრეიუდიციად აღიარების პროცესში. სრულად არის ამ შემთხვევაში შეჭიბრებითობის პრინციპის ყველა ასპექტი დაცული⁶³. ცხადია, ჩემი კვლევა ვერ მოახდენს პრეიუდიციის სრულ არსობრივ და პრაქტიკულ ანალიზს, მაგრამ წარმოაჩენს იმ პრობლემებს, რომელიც ყოველდღიურად პრაქტიკასა თუ თეორიული კუთხით გვხვდება სასამართლო სისტემაში. იმედი მაქვს, მეტი ყურადღება დაემთმობა შემდგომში ამ ინსტიტუტს, როგორც საკანონმდებლო ასე პრაქტიკულ დონეზე და სამეცნიერო თვალსაზრისითაც

⁶³ საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 63. 23.03.2018-ის მდგომარეობით.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული მასალა:

1. სისხლის სამართლი საპროცესო კოდექსი.(25.05.2019-ის მდგომარეობით)
2. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი(13.02.2017-ის მდგომარეობით)
3. საქართველოს კონსტიტუცია (23.03.2018-ის მდგომარეობით)

სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. მაქუაკერი გოდარდის წინააღმდეგ (McQuaker v.Goddard), გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატის გადაწყვეტილება, [1940], 1 KB, 687. http://www.cambridge.org/gb/files/3214/7610/6092/Liability_for_Animals_Mulheron.pdf
2. პროკურორი კრსტიჩის წინააღმდეგ (Prosecutor v. Krstic), ICTR, IT-98-33-T, განაჩენი, 2001 წლის 2 აგვისტო, მე-18 პუნქტი. <http://www.icty.org/x/cases/krstic/tjug/en/krs-tj010802e.pdf>
3. იარემენკო უკრაინის წინააღმდეგ (Yaremenko v. Ukraine), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, 76-ე პუნქტი. <http://hudoc.echr.coe.int/app/conversion/pdf/?library=ECHR&id=001-154022&filename=001-154022.pdf&TID=ihgdqbxnfi>
4. Inter alia, დომბო ბეჰერი ნიდერლანდის წინააღმდეგ (Dombo Beheer B.V. v. the Netherlands), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1993 წლის 27 ოქტომბრის განჩინება, მე-19 პუნქტი. <https://www.legal-tools.org/en/browse/record/b575c2/>
5. პროკურორი კერემერას და სხვათა წინააღმდეგ (Prosecutor v. Keremera et al), ICTR, ICTR-98-44-AR73(C) 'Decision on the Prosecution's Interlocutory Appeal of Decision on Judicial Notice', 2006 წლის 16 ივნისი, 55-ე პუნქტი. http://www.worldcourts.com/ict/eng/decisions/2006.06.16_Prosecutor_v_Karemera.pdf

სამეცნიერო ლიტერატურა :

1. „პრეიუდიციის გამოყენების შეზღუდვის საფუძვლები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.“- გიორგი ბურჯანაძე. სტატიათა კრებული-ადამიანის უფლებების დაცვა, მიღწევები და გამონწვევები. (რედ. კონსტანტინე კორკელია-სტატიათა კრებული გიორგი) 2012წ.
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი-ავტორთა კოლექტივი. გამომცემლობა „მერიდიანი“. 2005 წ. 1 ოქტომბერი.
3. J. Stewart, ‘Judicial Notice’, Antonio Cassese (ed.), The Oxford Companion to International Criminal Justice (OUP, 2009).
4. „მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში“- ჩომახაშვილი, თომაშვილი, ძეგნიაური და სხვები. 2016 წ.
5. „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები“-კონსტანტინე კუბლაშვილი გამომცემლობა „მერიდიანი,“ 2005წ.
5. Учение об уголовных доказательствах- Л.Е. Владимиров ,Тула, 2000,
6. Uniform Law Conference of Canada, Report of the Federal/Provincial Task Force on Uniform Rules of Evidence (The Carswell Company Limited, 1982.
7. ინგლისურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი-დავით წულაია. გამომცემლობა „არტანუჯი“ 2005წ.
8. Преюдициальная связь судебных актов-А. М. Безруков.2007
9. “დაცვის უფლების ქმედითობა სისხლის სამართლის პროცესში: მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობაზე შეამდგომლობის უფლება სასამართლო განხილვის ნებისმიერ ეტაპზე“- ანგარიში. 2013 წ.
10. „პრეიუდიცია და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულირებანი“-მაია სულხანიშვილი. მართლმსაჯულება და კანონი #2’14. 2013წ.
11. Handbook of the Law of Evidence- Ch. T. McCormick, (West Publishing, 1954).
12. ‘შედარებითი სისხლის სამართალი- უან პადელი. გამომცემლობა „სანი,“ 1999წ.

13. J. B. Thayer, 'Judicial Notice and the Law of Evidence', (1890) Vol III, No 7, Harvard Law Review, 286.
14. 7 G. Weissenberger, Federal Rules of Evidence – Rules, Legislative History, Commentary and Authority (Anderson Publishing Co, 1999).
15. „სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები“-ე. ფოფხაძე, ე. ხუციშვილი, გ. ბურჯანაძე, -თბ., 2011
16. სახელმძღვანელო „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გაძლიერებული ტრენინგისათვის“- ავტორთა კოლექტივი. 2012წ .

ინტერნეტ წყაროები:

1. ..საქართველოს სახალხო დამცველის 2011 წლის 28 ივლისის „სასამართლოს მეგობრის“ (Amicus Curiae) მოსაზრება, N2983/04–8/0091–11/1. ბოლოს ნანახია 11.07.2019წ.
2. <http://www.legal-tools.org/en/doc/d8d10a/> -legal tools record. ბოლოს ნანახი-11.05.2019
3. <https://mimomxilveli.wordpress.com/tag/%E1%83%9B%E1%83%A2%E1%83%99%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/> - სამართლის მიმომხილველი ბლოგი. ბოლოს ნანახია 09.07.2019
4. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6307> ეროვნული ბიბლიოთეკის იურიდიული ლექსიკონი. ბოლოს ნანახი 10.07.2019წ.
5. <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98> – ვიკიპედია, თავისუფალი ენციკლოპედია. ბოლოს ნანახი 11.07.09წ.
6. https://it.wikipedia.org/wiki/Salvis_iuribus